ტანკრედ დორსტი

ურსულა ელერის თანამონაწილეობით

მე, ფოიერბახი

გერმანულიდან თარგმნა
შორენა შამანაძემ

მოქმედი პირები

მსახიობი ფოიერბახი

რეჟისორის ასისტენტი

ქალი

მოქმედების ადგილი

ერთ-ერთი დიდი თეატრის სცენა და მაყურებელთა დარბაზი.

პიესა თამაშდება ცარიელ თეატრში. ეს-ეს არის რეპეტიცია დამთავრდა. სცენაზე კვლავ მოჩანს წინა საღამოს წარმოდგენიდან შემორჩენილი დეკორაციის ნაწილები. მოგვიანებით სცენაზე მუშები შემოდიან და სცენას ისე აცარიელებენ, რომ ფოიერბახს ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ. თან მომდევნო სპექტაკლის დეკორაციებიც შემოაქვთ.

ჩემი წარმოდგენით, ფოიერბახი ერთი არაფრით გამორჩეული, საშუალო ასაკის მამაკაცია. ხელოვანს არაფერი მიუგავს, პირიქით - შეშინებული ჩანს და საგანგებოდ ინდომებს, რომ როგორმე იმ ჩვეულებრივ მოქალაქეს დაემსგავსოს, რაღაც პროფესიას რომ დაუფლებია, თავი სერიოზულად უჭირავს და თვალში არავის ეჩხირება. დაყინებით ცდილობს, ხაზგასმულად სწორად გამოხატოს სათქმელი. ერთი შეხედვით, თითქოს ეგზალტირებულად მეტყველებს, რადგან ხმოვნებს ზოგჯერ საჭიროზე მეტად წელავს, თან ხმასაც ისე ტალღავს, გეგონება, სადაცაა ბგერა სიტყვის ტყვეობიდან თავს დაიხსნის, გაიქცევა და მის ხმასაც თან გაიყოლებსო. მერე კი უცბად ჩვეულებრივად ალაპარაკდება ხოლმე. მაშინვე შეატყობ, რა კარგად შეუძლია ადამიანების გამოჯავრება, შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმის ვირტუოზია. პიროვნების წარმოსადგენად მისთვის საკმარისია სხეულის ერთი უცაბედი ამოძრავება ან რაიმე ჟესტი. ამ მჩქეფარე ენერგიისა და ხანდახან პათეტიკური ყოყოჩობის მიღმა ყოველთვის იგრძნობა დეპრესიული ბუნება - ის ცარიელ, უფანჯრებო ოთახში მოხვედრილი ერთი საცოდავი ადამიანია.

1

სცენასა და მაყურებელთა დარბაზში შუქი ოდნავ ბჟუტავს.

ფოიერბახი: *(სცენაზე)* შუქი რატომ არ ანთია! აანთეთ ბოლოსდაბოლოს, რა დაგემართათ!

არაფერი იცვლება.

ფოიერბახი: თუ აქ არავინ არის, შუქი რომ ამინთოს, მაშინ ახლავე წავალ, რაღა მინდა აქ.

(დუმილი. მაყურებელთა დარბაზს გასძახის) თქვენ მხედავთ?

დუმილი.

ფოიერბახი: ვინმე მიყურებს? ბოდიშს გიხდით. მაპატიეთ, უმორჩილესად გთხოვთ. სიბნელემ შემაყოვნა. ჩემი ბრალი არ არის. იმედია, არ

დამემდურებით, უშუქობის გამო ცოტაოდენი ლოდინი რომ მოგიხდათ მეც ხომ თქვენს დღეში ვარ, მოცდა მიწევს!

დუმილი.

ფოიერბახი: გემუდარებით, მანიშნეთ რამე, ერთი სიტყვა მაინც მითხარით! მაგალითად, "აქ ვარ"! ძალიან გთხოვთ! მხოლოდ იმისათვის, რომ ორიენტაციის აღება შევძლო. რომ მეცოდინება ის ადგილი, საიდანაც მიყურებთ, უკეთესად ვიგრძნობ თავს. ისე, მართლაც, ფრიად უსიამოვნო პროცედურაა, კერძოდ კი იმ მაყურებლებისთვის, რომლებმაც მერე თავიანთი მსჯავრი უნდა გამოიტანონ. თუმცა არც სცენაზე მდგარი მსახიობია უკეთეს დღეში.

დუმილი.

ფოიერბახი: ხმას არ იღებთ, არა? ისე, რომ იცოდეთ, ჩემთვის დიდ სირთულეს სულაც არ წარმოადგენს აქ, თქვენს წინაშე გამოსვლა. პირიქით! რა ჯობია კომპეტენტურ მაყურებელს! თანაც თქვენნაირს, სცენის დიდოსტატსა და ადამიანური ბუნების საოცარ მცოდნეს! ბატონო? *(უეცრად გაბრაზდება)* მაგრამ შუქი კი აუცილებლად მჭირდება! რაღაცა ძალიან საეჭვოდ მეჩვენება, რომ სცენაზე ამდენ ხანს ბნელა. საეჭვოა განსაკუთრებით თქვენი მხრიდან, რადგან ეს თქვენ გინდოდათ ჩემი ნახვა. განა აქ იმიტომ არ დამიბარეთ, რომ გენახეთ, შეგეფასებინეთ, გაგერკვიათ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩემი კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები თქვენს წარმოდგენას ჩემს შესახებ.

დუმილი.

ფოიერბახი: შუქი-მეთქი!

(სცენა განათდება. წინა საღამოს წარმოდგენიდან შემორჩენილი დეკორაციები ჯერ არ აულაგებიათ. ფოერბახი ავანსცენაზე დგას).

ფოიერბახი: როგორც იქნა! *(მაყურებელთა დარბაზს მიმართავს)* აბა, რას ვაკეთებთ? მე ხომ ჯერ ისიც კი არ ვიცი, რომელი პიესის დადგმას აპირებთ და ჩემთვის რა როლი გაქვთ გათვალისწინებული. *(დუმილი)* მე ჩემით მოვამზადე სცენა ტასოს მეოთხე აქტიდან, მაგრამ შემიძლია იმპროვიზაციაც შემოგთავაზოთ. როგორც მიბრძანებთ! უაღრესად ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუკი ერთ მინიშნებას მაინც მომცემდით, თუ რით დავიწყო და საით წავიდე... ისე, ფრიად სასურველი იქნებოდა, თუ მოვახერხებდით და ჩვენს თანამშრომლობას პირველივე წუთებიდან კარგად ავაწყობდით.

დუმილი.

ფოიერბახი: სადა ხართ ბოლოსდაბოლოს?

ასისტენტი: *(მაყურებელთა დარბაზში, წინა რიგში, მარცხენა მხარეს)* აქ ვარ.

ფოიერბახი: მე ბატონ ლეტაუს ვგულისხმობდი.

ასისტენტი: ეგ ჯერ არ მოსულა.

ფოიერბახი: *(ნირწამხდარია)* ესე იგი, ჯერ არ მოსულა, არა? აჰა... გასაგებია. ჯერ არ მოსულა. აქ არ არის. ყველაფერი გასაგებია. არ არის. ჯერ. თქვენ ვილა ბრძანდებით?

ასისტენტი: ასისტენტი.

ფოიერბახი: ასე, ასე... აჰა... მაშასადამე, ასისტენტი. გასაგებია. ისე, ძალზედ უცნაურია. როგორც გავიგე, მე აქ იმიტომ დამიბარეს, რომ ბატონ ლეტაუს ვჩვენებოდი და იმ როლზე გველაპარაკა, რომელიც მან თავის დადგმაში ჩემთვის გაითვალისწინა. ასეა თუ არა?

ასისტენტი: ასეა.

ფოიერბახი: ჰოდა, თუ მასეა, მე აქ მისთვის კი არ მოვსულვარ, რომ ვიღაც ასისტენტს საუბარი გავუბა *(შეტრიალდება და სცენიდან გადის).*

ასისტენტი: *(ეძახის)* ბატონო ფოიერბახ! გთხოვთ..!

ფოიერბახი უკან არ ბრუნდება.

2

ასისტენტი ცოტა ხანს ყოყმანობს, მერე სარეჟისორო პულტთან მიდის და ყურმილს იღებს.

ასისტენტი: *(რეკავს)* საჩქაროდ შეფთან შემაერთე!.. ჰო, წავიდა... ვინა და ისა... ჰო... ფოიერბახი... ვცადე, აბა რა ვქენი. - არა. - ჰო, მეც ძალიან ვწუხვარ. - ჯერ კიდევ შემიძლია, სცენის დარაჯს... ჰო, ჰო, კარგი, ახლავე. - ჰო, ვიცი. - არა, არა, არევით არ აურევია... უბრალოდ წავიდა... აზრზე არა ვარ... ჰო, მაპატიე, ახლავე დავურეკავ.

სცენაზე მუშები შემოდიან და იწყებენ დეკორაციების ალაგებას. ასისტენტმა ტელეფონი გათიშა და ახლა სხვა ნომერი აკრიფა.

ასისტენტი: *(ტელეფონზე ლაპარაკობს)* ერთი, მანდ დარაჯს დამალაპარაკეთ!

(ფოიერბახი სცენაზე ბრუნდება).

ასისტენტი: *(ტელეფონზე ლაპარაკობს)* კარგი, კარგი, საჭირო აღარაა, ნუღარ დაუძახებთ.

3

ფოიერბახი კვლავ ავანსცენაზე დგას.

ფოიერბახი: კარგი. რაც არის, არის. დავიცდი. კულისებში ყურყუტს, მირჩევნია ისევ აქ გავჩერდე. თან მუშებსაც აღარ გავებლანდები ფეხებში. ეტყობა, სცენას დღევანდელი წარმოდგენისათვის ამზადებენ.

ასისტენტი: სად იყავით, ვიფიქრე, წავიდა-მეთქი! ბატონმა ლეტაუმ აუცილებლად უნდა გნახოთ, გესმით, აუცილებლად!

ფოიერბახი: აგერ, ვხედავ, ერთი სკამი დაუდგამთ. ჩემი ვარაუდით, წინასწარ გაითვალისწინეს, რომ მოცდა მომინევდა.

ასისტენტი: არა, რას ამბობთ, მაგრამ მაინც დაბრძანდით!

ფოიერბახი: აგერ ჩამოვჯდები. ან უფრო იქით, ცოტა მოშორებით *(სკამს აიღებს და სადმე სხვაგან ჩამოჯდება).* უჰ, რამხელა სივრცეა.

ძლივს არ მელირსა თავისუფლად ამოსუნთქვა. - ჰო, ერთი ასეთი სკამია საჭირო... სკამი და სივრცე!

დუმილი.

ფოიერბახი: *(ჩქარ-ჩქარა და ვირტუოზულად წარმოადგენს სხვადასხვა სიტუაციებს)* ეს სკამი შეიძლება იდგეს პარკში. გვიანი შემოდგომაა. ფოთლები ცვივა *(განასახიერებს პარკში სკამზე ჩამომჯდარ მოცახცახე მოხუც ქალს)*. აქ ვზივარ და ხელში ჩემი საათი მიჭირავს. - განაჩენი სისრულეში მოიყვანეთ! *(განასახიერებს სკამზე დაბმულ სიკვდილმისჯილს, რომელიც ტყვიებქვეშ იკლაკნება)* - სააღმსარებლოში. *(სკამზე მორჩილად იჩოქებს, თითქოს რაღაცას ინანიებს, ხელები საზურგეზე გადაუჯვარედინებია)* - საპატიმროში. *(სკამს ხელს წაავლებს და ზემოთ აიტაცებს. საზურგის ზოლებიდან იჭყიტება)*. - სალონში. მუსაიფი. *(სალონურ ტიპს წარმოადგენს, ხელში ყავის ფინჯანი რომ უკავია, გამალებული ლაპარაკობს, ხელებს იქნევს და თან ყავა ექცევა)*. - სამეფო ტახტი. *(სკამის საზურგეს ტრიუმფატორის პოზაში გადააწვება)*. - და ბოლოს - თავშესაფარში, დანგრეული ცხოვრების ამ უკანასკნელ ნავთსაყუდელში. *(მოკუნტული ზის სკამზე, განასახიერებს ყველასგან მიტოვებულ, სასოწარკვეთილ არსებას)*.

ასისტენტი ამჯერად ყურადღებით აკვირდება.

ფოიერბახი: აბა, რას იტყვით?

ასისტენტი: არაფერს. მოხიბლული ვარ. თვალს ვერ გაშორებთ.

ფოიერბახი: ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა დაწერა, რასინი დამჯდარმა უნდა ითამაშოო. მართალია!

ასისტენტი: ვინ დაწერა?

ფოიერბახი: მე ვამბობ, მართალია-მეთქი!

ასისტენტი: მე, ჩემდათავად, მსახიობებს არ დავსვამდი. როგორ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში.

ფოიერბახი: შენ ზიხარ და ტრაგედიის სხვა მონაწილეებიც სხედან. მთელ დრამას ისე თამაშობ, თითქოს მოქმედება მხოლოდ სალონში ვითარდებოდეს. წყნარად, მსუბუქ საუბარში. ვნებები ბობოქრობს, როგორ არა, მაგრამ ფარულად, ზედაპირზე არ იგრძნობა, სილრმეებშია მიმალული.

ასისტენტი: რას ამბობთ, სრული უაზრობაა!

ფოიერბახი: აბა, წარმოიდგინეთ, მაგიდასთან ზის იპოლიტი, ხელში ჩაით სავსე ფინჯანი უკავია, ან მითრიდატე... ბერენისი კანფეტს დასწვდება და აიღებს, ჰექტორს ხელში შერით სავსე ჭიქა უჭირავს და არხეინად ლაპარაკობს... საუცხოოა!

"Mon fils, ne parlons plus d'úne mère infidèle,
votre père est content, il connait votre zèle,
et ne vous vetra point affronter de danger
qu'avec vous son amour ne veuille partager."[1]

[1] "კმარა, ჩემო ბიჭო, გვეყოფა მოღალატე დედაზე საუბარი, იცოდეთ, რომ მამათქვენ კმაყოფილია თქვენი ძალისხმევით და თქვენ ვერ შეძლებთ, საფრთხეს თვალებში ჩახედოთ, რამეთუ ივი, ვისაც ეს ეგების, არასდროს დათანხმდება, თქვენთან ერთად გაიზიაროს ეს სიყვარული." (ფრანგ.)

ასისტენტი აღარ უსმენს, კვლავ ტელეფონზე ლაპარაკობს.

ფოიერბახი: ალბათ ფიქრობთ, ნეტავი გამაგებინა, ეს არაჩვეულებრივი საათი ამას საიდან აქვსო. მემკვიდრეობით მივიღე. აბა, ერთი შეხედეთ! *(უნდა საათი ასისტენტს აჩვენოს)*.

ასისტენტი: *(თან ტელეფონზე ლაპარაკობს)* ჰო, ლამაზია.

ფოიერბახი: დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მაშინ გაჩერდა. მახსოვს, ოჯახში იტყოდნენ, საათი მაშინ ჩერდება, პატრონი რომ კვდებაო. ისე, კაცის საათია, მაგრამ დედაჩემი არასდროს იშორებდა, სულ თან დაჰქონდა.

ასისტენტი: *(არ უსმენს, ტელეფონზე ლაპარაკობს)* მაცალეთ, ტელეფონზე ვლაპარაკობ.

ფოიერბახი: ბატონ ლეტაუს ელაპარაკებით? ჩვენს შეთანხმებას ხომ ვერ შეახსენებდით? ის წერილიც არ დაგავინყდეთ, მე რომ მივწერე. და ისიც, რა თქმა უნდა, თვითონაც რომ მიპასუხა. ისე მშვენივრად, ზრდილობიანად, შეიძლება ითქვას, რომ მეგობრულადაც კი! სწორედ მან ისურვა, რომ დღეს აქ მოვსულიყავი, რეპეტიციის მერე. დაიღალა ალბათ და ისვენებს ახლა. მესმის, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ მე ზუსტად დროზე მოვედი, წუთიც არ დამიგვიანია. ცოტა ხანი მოცდა თუ მიწევს, რა მობდა მერე, დიდი ამბავი, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. გადაეცით რა, ძალიან გთხოვთ!

ასისტენტი: *(კვლავ ტელეფონზე ლაპარაკობს)* დაწყნარდით თუ შეიძლება. ბატონ ლეტაუს არ ველაპარაკები!

ფოიერბახი: ჰო? კარგი, კარგი.

დუმილი.

ასისტენტი ყურმილს ჰკიდებს.

დუმილი.

ფოიერბახი: თქვენის ნებართვით, ერთ რჩევას მოგცემთ...

4

თქვენ ალბათ რეჟისორობას აპირებთ, არა?

ასისტენტი დუმს.

ფოიერბახი: ისე, როგორ გაგიმართლათ, ამხელა რეჟისორთან რომ მოხვდით სამუშაოდ და სასწავლებლად. იმას არც კი გეკითხებით, ეს როგორ მოახერხეთ! რას ამბობთ, რამხელა პრივილეგიაა! რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ინატრებდა თქვენს ადგილას ყოფნას, ნებისმიერი მსხვერპლის ფასადაც კი. რა არის მაინც, ყველას რეჟისორობა როგორ უნდა! ისე, ამ პროფესიაში მართლაც არის რაღაც დიადი, ჯადოსნური! შენ ხარ იმ ყველაფერის უზენარი წარმმართველი, რაც სცენაზე ხდება. არა ვარ სწორი?

ასისტენტი: დიახ.

ფოიერბახი: მაგრამ აი, თქვენგან კი არაფერი არ გამოვა. სულ ტყუილად წვალობთ!

ასისტენტი: დიდი მადლობა.

ფოიერბახი: გირჩევთ, შეეშვათ, თავი დაანებოთ, სანამ საბოლოოდ არ დაღუპულხართ! არ ვიცი, რამდენად ნიჭიერი ხართ, შეიძლება გაქვთ კიდეც ცოტაოდენი ნიჭი. საერთოდ, ნიჭის ნაპერწკალი ყოველ ადამიანში ღვივის, მით უმეტეს, სიყმაწვილის ასაკში. ერთი პერიოდი ახალგაზრდას თვალები განსაკუთრებულად უელავს ხოლმე. მაგრამ ეს მალევე ქრება. კი ბატონო, შეიძლება თქვენი ნიჭი ცოტა უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს და ერთი უმნიშვნელო წარმატების მერე დაიჯეროთ კიდეც, რომ ეგ არის, თავი ქუდში გაქვთ უკვე. - დაგიდგამთ ჯერ რამე?

ასისტენტი: დიახ. რა მერე?

ფოიერბახი: *(ზარ-ზეიმით)* ძალიან სუსტი ხართ! გაგიცანით თუ არა, მაშინვე მივხვდი, დიდი დრო არ დამჭირვებია! როგორ მეცნო ხელის ეს აქნევა, როცა წარმოთქვით "აქ ვარ". ამას რა დამავიწყებს. აგერ უკვე ოცი წელია, რაც ეს ჟესტი ზეპირად ვიცი. მაშინ ჰანოვერში ვიყავი მიწვეული, როგორც ახალგაზრდა მსახიობი. ბატონი ლეტაუც იქ ბრძანდებოდა. თქვენ მას ბაძავთ, ბატონო ასისტენტო! თან ბაძავთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფატალურად. თუნდაც ეს თქვენი პოზა ავიღოთ, როგორ დამჯდარხართ აქა, ჩემს წინაშე, ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ! გაწოლილხართ ამ რბილ სკამზე, მკლავით მეორის საზურგეს წვდებით. პირდაპირ გამოცხადებული ლეტაუ ხართ! თქვენ ხომ ყველაფერი იმისი გაქვთ! *(თავშეუკავებლად იცინის)* ახლა უკვე თქვენ თვითონვე ამჩნევთ, რა უხერხულად ხართ გაშხლართული ამ სავარძელში. დიდი სიამოვნებით გასწორდებოდით, მაგრამ არ შეგიძლიათ, თქვენს პოზაზე ყურადღება ხომ მე გაგამახვილებინეთ და გეშინიათ, წელში რომ გავიმართო, ვაითუ იფიქროს, რომ დავუთმეო. ესეც თქვენი სისუსტის ნიშანია! იმ ვითომდაც უბოდიშო მანერებსა და თავისუფალ ქცევას, რითაც ლეტაუ საყოველთაოდაა ცნობილი, მას შინაგან დამოუკიდებლობად, ორიგინალურობად, სიძლიერედ და თუ ჩემი მორიდებული აზრიც გაინტერესებთ, ხანდახან ქედმაღლობადაც კი უთვლიან. თქვენს შემთხვევაში კი ეს უბრალოდ ბრიყვული ალურაა! თქვენ ცხენს ვერასდროს დაიურვებთ და ამიტომაც თქვენი ხვედრი სხვა მხედრების კუდში ჩანჩალია! ვისთანაც არ უნდა იმუშაოთ, ნებისმიერი მსახიობი ამას ეგრევე იყიდის და თუ თქვენსავით მფრთხალი ახალბედა არ იქნა, მაშინვე თავზე დაგაჯდებათ. არა, თქვენგან რეჟისორი არ გამოვა! *(ხმას იცვლის)* - მაინც ვინ იყო ტელეფონზე, ვის ელაპარაკებოდით?

ასისტენტი: რა, ნერვიულობთ?

ფოიერბახი: ანგარიში ჩააბარეთ, არა?

ასისტენტი: ანგარიში?

ფოიერბახი: მინდოდა მეთქვა... ისა... რა ჰქვია *(უეცრად აღელდება, ხელები უცახცახებს)*.

ასისტენტი: ჩემს მეგობარ გოგონას ვესაუბრებოდი, რახან ასე ძალიან გაინტერესებთ.

ფოიერბახი: ოოო... ეს სულ სხვა ამბავია! ერთი პირობა მეც ეგ ვიფიქრე, იმ სიტყვას რომ მოვკარი ყური. "ბებრისჭიპაო", რომ ეუბნებოდით. რა ლამაზი, ნაზი სიტყვაა, მით უმეტეს თუ საყვარელ ადამიანს მიმართავთ.

ასისტენტი: საიდან მოიტანეთ? "ბებრისჭიპა" არა ისა. ცხოვრებაში არ მიხსენებია.

ფოიერბახი: "ბებრისჭიპა", "ბებრისჭიპა", როგორ არა, ნამდვილად გავიგონე.

ასისტენტი: არა-მეთქი, ეს ჩემი სტილი არ არის!

ფოიერბახი: რატომაც არა. ლამაზ ქალს უნდა მიეფერო.

ასისტენტი: კარგი, კარგი. როგორც ჩანს, აქ ყველაფერი იმაზე მეტხანს გრძელდება, ვიდრე მოველოდი. ძალიან ცუდი.

ფოიერბახი: რაო, თქვენი ტურფა უკვე კაფეშია და გელოდებათ?

ასისტენტი არ პასუხობს.

ფოიერბახი: გვერდით სუფრაზე კი ერთი მაგარი ტიპი ზის და თქვენს "ბებრისჭიპას" ეჩალიჩება.. ეტყობა, დრო ბევრი აქვს, თქვენსავით მოუცლელი კი არაა...

ასისტენტი: მოათავეთ ახლავე, სისულელეებს ნუ ჩმახავთ!

ფოიერბახი ხელებს ირონიულად ასავსავებს, ვითომ მე რა შუაში ვარო.

ასისტენტი: საქმე ბინას ეხება.

ფოიერბახი: თქვენს ერთობლივ ბინას?

ასისტენტი: მეც იქ უნდა ვყოფილიყავი. ორ საათში წავა.

ფოიერბახი: ვინ წავა? ქალი? თუ ბინა? თუ ორივე ერთად?

ასისტენტი: *(ბრაზდება)* მორჩა! თემა ამოწურულია.

5

ფოიერბახი: ყველა და ყველაფერი იცდის! ყველანი იცდიან! ადამიანები უკუნეთში დგანან და ელიან. ნეტავი ელირსებათ კი კვლავ ნათლის ხილვა? აი, ზვარაკად შეწირული უკვე სამსხვერპლოზე წამოუქცევიათ, შამანს მისთვის გული ცოცხლად ამოუგლეჯავს, ხელისგულზე დაუდევს და ჩაბნელებული ცის კაბადონს უშვერს.

ასისტენტი: *(სცენის მუშებს უყვირის, ავეჯს აქეთ-იქით ხმაურით რომ დააგრიხინებენ)* რა ამბავია! ცოტა ნელა ქენით, სცენაზე ასე ძალიან ნუ ხმაურობთ!

ფოიერბახი: ზოგი რეჟისორი სპეციალურად იგვიანებს ხოლმე, ჰო, ასეა, რეპეტიციაზეც კი. მსახიობი მომართულია, მუშაობა წყურია. მთელი ღამე თავის როლზე ფიქრობდა, ვარიანტებს ანყობდა და ახლა უნდა წარმოადგინოს. რეჟისორი კი ალოდინებს. მსახიობს მეორე დილისთვის იბარებენ, მაგრამ შენც არ მომიკვდე. რეჟისორი ამბობს, ახლა სხვა სცენაზე ვმუშაობ, რაღაცეები უნდა გადავაადგილ-გადმოვაადგილოო. კარგი,

ბატონო, მაგრამ რომ არც ეშვებიან და მაინც იძახებენ?! წუთიც აღარა აქვს თავისუფალი! სუფთა ჰაერი ენატრება. მივა, დაელოდება, გამოუშვებენ - სცენაზე ვერ ასულა, რეჟისორს ვერ დალაპარაკებია. ასე გრძელდება მთელი კვირა, სანამ სულ არ შეიშლება და თავს საბოლოოდ არ დაკარგავს. ამ დროს გამოიყვანენ და წარმატებული რეპეტიციის მერე რეჟისორი ეუბნება: შეუდარებელი იყავიო. ამ სცენაში სწორედ ასეთი გაღიზიანებული მჭირდებოდიო. ასეთი შედეგის შემთხვევაში, მე ამას ახირებას კი არა, გენიალობას ვუწოდებდი. მაგრამ ამისი უფლება მხოლოდ დიდ ხელოვანს აქვს და არა თქვენნაირ გამოუცდელ ახალბედას, ადამიანებთან შემოქმედებითი ურთიერთობების სფეროში პირველ ნაბიჯებს რომ დგამს.

დუმილი.

ფოიერბახი: მსახიობმა უნდა დაივიწყოს უკვე მრავალგზის მოსინჯული ხერხები! უნდა დაივიწყოს ოსტატობა! თავისი ენა უნდა დაივიწყოს! სიტყვები და სიტყვათა მნიშვნელობები! მის ბაგეებს დაცდენილი სიტყვა მისთვის სრულიად უცხო უნდა გახდეს, თითქოს უეცრად ჩინურად ალაპარაკდაო. გონება უკვე ველარ ეწევა იმას, რასაც მისი ბაგეები ღადებენ! საკუთარი თავის რწმენა უნდა დაკარგოს! ყველაფერი უნდა დაივიწყოს, რაც აქამდე უსწავლია! და რაც აქამდე გაუგია, ისიც უნდა დაივიწყოს და რაშიც დარწმუნებულია, რომ ნამდვილად იცის, ის ხომ მით უმეტეს! ფსიქოლოგიაც უნდა დაივიწყოს, იმ ვითომდაც შეუვალ კანონზომიერებებთან ერთად, რომელთა ხშირ-ხშირად მოხმობა აგრერიგად სიამოვნებდა ხოლმე! საერთოდ კი, ბატონო ასისტენტო, რომ იცოდეთ, ფსიქოლოგია ჩვენი საუკუნის შავი ჭირია! აბსოლუტურად ყველაფერი უნდა დაივიწყო და საკუთარი თავისგანაც უნდა გაუცხოვდე! და მხოლოდ ამის მერე დგება, ჩემო მეგობარო, დიადი სიცარიელის ჟამი! მხოლოდ ასე შეუძლია მსახიობს, ამ თავისებურ პარციფალს, ყველა მოვლენა ისე აღიქვას, თითქოს ღმერთმა სამყარო სულ ეს-ესაა შექმნა და ყველაფერი უცოდველი და შეურყვნელი სახით წარსდგა მის წინაშეო! განურჩევლად ყველა მოვლენა! მაგრამ ამ სტადიაში რომ გადახვალ, შეიძლება ზოგჯერ სასოწარკვეთილობამაც შეგიპყროს. ისეთი უმწეო დგახარ სცენაზე, თითქოს ცხოვრებაში პირველად გამოდიოდე. მაგრამ შეუძლებელი არაფერია, შემომხედეთ, თქვენს წინაშეა ცოცხალი მაგალითი, მე ხომ უდიდესი წარმატებები მქონია: გაიხსენეთ ჩემი ემპედოკლე, ჩემი ტასო, ოიდიპოსი ბოლოს და ბოლოს - მართლაც დიდებული მიღწევებია! ღმერთმა მადლი მოისხა, შემიწყალა და იმედია, მფარველობას არც მომავალში მომაკლებს. სიტყვა "მადლი" ხომ არ გეხამუშებათ?

ასისტენტი: სულაც არა.

ფოიერბახი: ეს რელიგიური ცნებაა და მეც ამ მნიშვნელობით ვხმარობ.

6

ასისტენტი: ეგ არა, მაგრამ ის კი მეხამუშება, რომ თქვენ თურმე ასეთი სახელგანთქმული მსახიობი ბრძანებულხართ, მე კი ამის შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი.

ფოიერბახი: რამდენი ხანია, რაც თეატრში ხართ?

ასისტენტი: ხუთი წელია.

ფოიერბახი: უჰ, რას ამბობთ! ჰო, ჰო, სულ მავიწყდება ხოლმე, როგორი ახალგაზრდა ბრძანდებით! ამ ხუთ წელიწადში არც არაფერი შემისრულებია. ეგ კი არა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შვიდი წელია, რაც სცენაზე ფეხი არ დამიდგამს!

ასისტენტი: შვიდი წელია, რაც სცენაზე არ გამოსულხართ?

ფოიერბახი: თქვენ რა, სულ არაფერს არ კითხულობთ? ან იმ წარმოდგენების ფოტოსურათებს მაინც არ ათვალიერებთ, თქვენს მოსვლამდე რომ დაიდგა? ჩემზე ძალიან ბევრს წერდნენ. რას ლაპარაკობთ! აჭრელებული იყო გაზეთები ჩემი სურათებით.

ასისტენტი: კი მაგრამ, ამ შვიდი წლის განმავლობაში რას აკეთებდით, სად იყავით დაკარგული?

ფოიერბახი: *(შეშინებულია, თავს იცავს)* ნეტავი ეგ რა შუაშია! რა შუაშია ეგ! რა სისულელეა! ასეთი კითხვებით შეურაცხყოფას ვერ მომაყენებთ!

ასისტენტი: არც ვაპირებ!

ფოიერბახი: სწორედაც, სწორედაც, სწორედაც! მაგ უტიფრული დაუდევრობით ცდილობთ გამაბრიყვოთ და რამე ნამომაცდინოთ!

ასისტენტი: ასე ძალიან რატომ აღელდით, მე უბრალოდ გკითხეთ!

ფოიერბახი: რას ვაკეთებდი ამ შვიდი წლის განმავლობაში და... ვისვენებდი.

ასისტენტი: ...უცნაურია.

ფოიერბახი: რა არის უცნაური?

ასისტენტი: როგორ, შვიდი წელი ხუმრობა ხომ არ არის! რასაკვირველია, თუ ეს ნებაყოფლობითი შესვენება იყო!

ფოიერბახი: *(გაცოფებულია)* უჰ, შე თავხედო! შე უსირცხვილო!

ასისტენტი: კი ბატონო, არსებობენ ისეთი მსახიობებიც, რომლებიც სხვა პროფესიას ეუფლებიან ან სოციალურ სფეროში გადადიან სამუშაოდ. მოსწყინდათ, ბატონო, ეს მსახიობობანა, ყელში ამოუვიდათ და იმიტომ. როგორ არა, მაგრამ შვიდი წლის მერე ისევ სცენას უნდა დავუბრუნდეო, ჯერ არავის უთქვამს.

ფოიერბახი: "არადამაკმაყოფილებელი"!

ასისტენტი: სხვა გზას ეწევიან ხოლმე, სულ სხვა პროფესიაში მოსინჯავენ ძალებს.

ფოიერბახი: მსახიობი. შეფასება - "არადამაკმაყოფილებელი"! ნიშანი - ერთიანი!

ასისტენტი: სხვა პროფესიებიც ხომ არსებობს.

ფოიერბახი: თქვენ რომელი პროფესია მოგწონთ მაინც, რომელს შეაფასებდით "დამაკმაყოფილებელზე", ან სულაც "კარგზე" ან "ფრიადზე"? აფთიაქარობას?

ასისტენტი: ოლონდ აფთიაქარი არ გამაგონოთ.

ფოიერბახი: "არადამაკმ."! - პოლიტიკოსი?

ასისტენტი: *(ხელს იქნევს)* უჰ, რა პოლიტიკოსი!

ფოიერბახი: "არადამაკმ."! - მასწავლებელი?

ასისტენტი: ჯობია, არაფერი ვთქვა.

ფოიერბახი: "არადამაკმ."! - სპელეოლოგი?

ასისტენტი: *(იცინის)* ნამეტანი სიბნელესთან არის დაკავშირებული.

ფოიერბახი: "არადამაკმ."! - პროგრამისტი?

ასისტენტი: ღმერთმა დამიფაროს!

ფოიერბახი: "არადამაკმ."! - ავტომრბოლელი?

ასისტენტი: შესაძლებელია.

ფოიერბახი: შესაძლებელი იგივეა რაც "არადამაკმ."! - ბირჟის მაკლერი?

ასისტენტი: სამწუხაროდ, ვერ გავქაჩავ.

ფოიერბახი: ე.ი. "არადამაკმ."! - კრიმინალისტი?

ასისტენტი: ჰო, მაგრამ პოლიცია...

ფოიერბახი:"არადამაკმ."! ხედავთ? ყველა პროფესია ერთიანზე გაქვთ შეფასებული! *(იცინის)*.

ასისტენტი: *(მოულოდნელად, ზედმეტად მკვახედ)* მაინც სად იყავით დაკარგული ამ შვიდი წლის მანძილზე?

ფოიერბახი: რა იყო, ხომ არ გგონიათ, რომ საპატიმროში ვიყავი? იქნებ იმასაც ფიქრობთ, რომ შავი წარსული მაქვს, შეიძლება კრიმინალურიც? მაგალითად, ჩემს კისერზე რაიმე მაგარი კანონდარღვევა, ან სულაც სისხლის სამართლის დანაშაულია?

ასისტენტი: არა, რას ბრძანებთ, საიდან მოიგონეთ.

ფოიერბახი: გგონიათ, ციხეში ვიყავი, არა? - გეტყვით, რახან ასე ძალიან გაინტერესებთ. მე ამ წლებში...

ასისტენტი: *(ხელს იქნევს)* მორჩით, არაა საჭირო!

ფოიერბახი: არა. მაცალეთ. ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ, თუმცა წესით ამას არ უნდა ვაკეთებდე. თქვენ ჩემთვის იმხელა ავტორიტეტს არ წარმოადგენთ, რომ თქვენს წინაშე თავი ვიმართლო. თქვენ ხომ მხოლოდ ადგილს ავსებთ, სკამი ცარიელი რომ არ იყოს. გახსოვდეთ, ყურადღებას მხოლოდ იმიტომ გაქცევთ, რომ არ მომეწყინოს და ლოდინი გამიადვილდეს. - მე თქვენ გასწავლით ახლა ჭკუას, ერთხელ და სამუდამოდ! - ამ შვიდი წლის განმავლობაში მე ყველანაირად ვცდილობდი ცხოვრებას გავმკლავებოდი, რა უბედურება არ გადამხდენია, მაგრამ ქედი არასდროს მომიხრია. თქვენ რა გენაღვლებათ, ახალგაზრდავ, თქვენთვის ცხოვრება ხომ ერთი გრძელი დერეფანია, სადაც უამრავი კარი გამოდის. ერთ კარს

გამოაღებ, ტალანტს დაინახავ, მეორეს - დანაშაულს, მესამეს - მომაბეზრებელ ყოველდღიურობას, მეოთხეს - განადგურებულ ცხოვრებას. ასე ხომ ადვილია, უცბად გაარკვევ, სად რა არის.

ასისტენტი: ვერ გავიგე, რომელ კარებზე მელაპარაკებით...

ფოიერბახი: აჰ, კარები ისე ვთქვი, მეტაფორულად... სპილოს ძვლისფერი კარები, რამე...

ასისტენტი: *(ფოიერბახს ისე უყურებს, ვითომ ან ახლა მიხვდა რამეს)* აჰ, გასაგებია.

ფოიერბახი: *(ცხარდება)* რა, არ შეიძლება, რომ კაცის ცხოვრებაში, მის ბიოგრაფიაში უამრავი თეთრი ლაქა იყოს დარჩენილი? ამაში იგულისხმება ყველა ის მოულოდნელობა და არაკანონზომიერება, რომელთა სრული ასახვა თეატრალურ პიესაში, რა თქმა უნდა, უბრალოდ შეუძლებელია. ხომ შეიძლებოდა, რომ სიტყვაზე, ერთი თვალისჩინდაკარგული ძმა მყოლოდა და მასთან ერთად შვიდი წელი მთა და ბარი შემეჯერებინა, რათა ბოლოსდაბოლოს ვენეციამდე მიგვეღწია? რა იცით, იქნებ მთელი შვიდი წელი კომაში ვიყავი და არავინ იცოდა, ფეხებს როდის გავჭიმავდი? ან იქნებ ისეთი საყვარელი და ერთგული თანამეცხადრე მყავდა, რომ გამუდმებით სხვადასხვა ქვეყნებში ვამოგზაურებდი, მინდოდა მომესწრო და მისთვის ყველაფერი იქამდე მეჩვენებინა, სანამ გონება საბოლოოდ დაებინდებოდა და სულების საუფლოში გადასახლდებოდა. ეს ყველაფერი ხომ სავსებით შესაძლებელია, ბატონო ასისტენტო!

7

ფოიერბახი: მაგრამ ახლა ხომ კვლავ აქა ვარ! სცენა მიხმობს და თავისკენ მეძახის, სულ მაკანკალებს, გამოსვლამდე ერთი სული მაქვს! იმაზედაც კი მივდივარ, რომ აქ რეპეტიციაზე გამოვცხადდი, თითქოს უკვე არ მიცნობდნენ და ახალბედა მსახიობივით სცენაზე ფეხს პირველად ახლა ვადგამდე. ახალბედა ხომ ძალიან უნდა გაისარჯოს, რომ როგორმე ვინმეს თავი მოაწონოს. გული მტკივა, ის პერიოდი რომ მაასენდება. დიდის ამბით მივედი რეპეტიციაზე. მინდოდა ბრეჰტის ზონგი შემესრულებინა, სხვათა შორის, ძალიან მწვავე, კრიტიკული ნაწარმოებია და დავიწყე კიდეც შესრულება, მაგრამ რეჟისორმა გამაწყვეტინა, ფოიერბახი ხართ თუ ფოიერკრახი, რას შვებით, რა უბედურებაა, ჩამომეძინა უკვეო. გაინძერით, რამე ილონეთ, ყოველი სტრიქონის მერე პატარაზე შეხტით მაინცო. მე ვუპასუხე, ყოველ სტრიქონზე ხტუნაობას ვერ მოვყვები, ბრეჰტი საამისოდ არ მემეტება, ძალიან მეძვირფასება-მეთქი. მან კი მომიგო, რომ მას თურმე ჩემს ნამუშევარში ყველაზე მეტად სწორედ ეს ნახტომი ეძვირფასებოდა. რას ვიზამდი, შევხტი და შევკონწიალდი კიდეც. ვინ იცის, რამდენი ასეთი ნახტომის კეთება მიწევდა იმ პერიოდში. სულ ახტი და დახტი, ახტი და დახტი, რა იყო მაინც ამდენი სახტუნაო! მადლობა ღმერთს, ეს ეტაპი უკვე გავიარე. - სხვა მსახიობებს, ჩემს კოლეგებს,

რაც გადახდენიათ, იმაზე კი ჯობია საერთოდ არაფერი ვთქვა.

დუმილი.

ფოიერბახი: ერთ ჩემს ემიგრანტ კოლეგას კი, რომელიც ამერიკაშია, საერთოდ სასწაული დაემართა. დიდი წვალებითა და ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, მოახერხა და ერთ იქაურ, ძალზედ ცნობილ, რეჟისორთან მიღებაზე მოხვდა. ეს რეჟისორი იყო ორსონ უელსი. წარუდგინა ახლა თავი. ამ ცნობილმა რეჟისორმაც ახედ-დახედა. ერთი-ორი სიტყვით გამოელაპარაკნენ ერთმანეთს, მერე ორივენი ადგნენ, ოთახიდან გავიდნენ. გაიარეს დერეფანი, რეჟისორმა ერთ-ერთი კარი გამოაღო. ეს საპირფარეშოს კარი აღმოჩნდა. მან მსახიობი პისუართან დატოვა, თვითონ კი ერთ-ერთ კაბინაში შევიდა, შიგნიდან კარი მაგრად ჩაიკეტა და მსახიობს იქიდან დაუძახა: GO ON! გააგრძელეთ!

დუმილი.

ფოიერბახი: აბა, როგორია?

ასისტენტი: არაჰიგიენური.

ფოიერბახი: *(აღელდება)* აჰ, თქვენ ეს სასაცილოდ მიგაჩნიათ, არა! აჰა! ახლა კი ვხვდები, თუ ვისთანა მაქვს საქმე! ისიც გასაგებია, აქ რატომ ბრძანდებით! აქ იმიტომ ხართ, რომ მეც ზუსტად იგივე პასუხი გამცეთ! ეს საშინელი და აღმაშფოთებელი ეპიზოდი ტყუილად კი არ მოგიყვეთ.

ასისტენტი: რას ამბობთ, რას მიედ-მოედებით! მეც თქვენსავით ვზივარ აქა და ვიცდი. რა, გგონიათ, მაგრად მეხალისება?

ფოიერბახი: ეს პირველი შემთხვევა არ არის, ასე ურცხვად და გამომწვევად რომ მეპასუხებით, მაგრამ არა უშავს, მოვითმენ, თქვენ მე ნერვებს ვერ ამიშლით. აგერ ნახავთ.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ფოიერბახი: მე წავიკითხავ ტასოს, მონოლოგს მეოთხე აქტიდან.

ხმა მიკროფონში: ძალლი უკვე მოიყვანეს.

ფოიერბახი: მე წავიკითხავ ტასოს, მონოლოგს მეოთხე აქტიდან. ეს როლი უკვე ორჯერ შევასრულე. პირველად მთლად ახალგაზრდა ვიყავი, კობურგში რომ ვითამაშე. მაშინ ამ პიესის სიღრმისეულ პრობლემებში ბოლომდე ჩაწვდომა ვერც კი მოვახერხე, ჩემს ცხოვრებისეულ ტკივილებთან მათი კავშირი ვერ გავაცნობიერე. მისმა ენამ გამაბრუა, ამ ჯადოსნურმა სტრიქონებმა კი საერთოდ მომნუსხა! აფსუს, რა ახალგაზრდა და გულუბრყვილო ვიყავი, იმედებით აღსავსე.... მაინც რა ჯანდაბად უნდათ ეს მსახიობობა, რომ გიჟდებიან, რაში ჭირდებათ? - მეორედ კი ეს უკვე მოწიფულობის ასაკში მოხდა. ეს იყო... მოიცადეთ... ეს ხომ ზუსტად შვიდი წლის წინ იყო! რამდენი დაიწერა და ითქვა მაშინ ამის შესახებ, შეიძრა ქვეყანა! დიახ, დიახ! აბსოლუტურად ყველაფერს გავეცანი. წყალი მოდიდდა, ჯებირები წალეკა, მაგრამ კიდევ კარგი, თან არავინ წაუყოლია.

ასისტენტი: წყალი?

ფოიერბახი: ეს ისე ვთქვი, სიტყვის მასალად! ყველას უკვირდა! გაოცება და ძრწოლვა ერთმანეთში ირეოდა, როგორც ხდება ხოლმე საერთოდ, დიადი მოვლენის შემსწრე რომ გახდები! თვითონაც ვგრძნობდი, ჯერ კიდევ პირველივე წუთებიდან. სინათლე ზვავივით მოვარდება და უეცრად ყველაფერი კაშკაშდება.

ასისტენტი: *(იცინის)* რა სასაცილოდ ყვებით.

ფოიერბახი: მართლა?

ასისტენტი: რა ვიცი, ასე მგონია. მაინც ვერ გავიგე, ეს წარმატებად მიგაჩნიათ თუ პირიქით?

ფოიერბახი: *(დაბნეულია, თავს იცავს)* ნეტავი თქვენ რა გესმით!

დუმილი.

ფოიერბახი: მას შემდეგ, რაც ბატონ ლეტაუს წერილი მივწერე, ამ პიესას კიდევ ერთხელ გადავხედე. მერე მივადექი და ბარემ მთელი დრამატურგია მთლიანად გადავიკითხე, თავიდან ბოლომდე შევისწავლე, კლასიკურიც და თანამედროვეც. დღე და ღამე გასწორებული მქონდა. სულისშემძვრელი პროცესი იყო! არაჩვეულებრივი, გრანდიოზული სანახაობანი ჩემს თავში ისე ირეოდნენ, რომ მოძრაობის უნარიც კი დავკარგე! ეს იყო ადამიანური ბუნების ბრწყინვალებისა და სიღატაკის დაუსრულებელი დრამა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა! - თქვენ გაგიგონიათ პიესა "დემონების ღამე"?

ასისტენტი: არა.

ფოიერბახი: და ის თუ იცით - "პიპა ცეკვავს"?

ასისტენტი: არა.

ფოიერბახი: "ვასანტასენა", ანუ "თიხის ეკიპაჟი"?

ასისტენტი: როგორ? არა.

ფოიერბახი: "ჟილი და ჟანა"? როგორ ხვდება წმინდა ჟანა ჟილ დე რეს, ურჩხულს.

ასისტენტი: არა.

ფოიერბახი: "საწყალი ბიძაშვილი"?

ასისტენტი: ბარლახის რომაა, ჰო, გაგონილი მაქვს.

ფოიერბახი: "დინება"? ჰალბესი.

ასისტენტი: არა.

ფოიერბახი: "ყინულის დამტარებელი ჩვენსკენ მოემართება"?

ფოიერბახი: ასეც ამბობენ ხოლმე "The Iceman cometh".

ასისტენტი: No, sorry.[2]

ფოიერბახი: "ვაი-ჭკუისაგან"?

ასისტენტი: არ ვიცი.

ფოიერბახი: "პერიკლე"?

ასისტენტი: არა.

ფოიერბახი: *(ვითომ გული მისდის)* ეს ხომ შექსპირია! არა, მართლა ნამდვილი ასისტენტი ხართ! თავდაჯერებულობის მეტი არაფერი არ გა-

[2] არა, მაპატიეთ. (ინგლ.)

გაჩნიათ! წადით, რა, საქმე ნახეთ! აქ თქვენი ადგილი არ არის! წადით და იმპორტ-ექსპორტს მიხედეთ!

ასისტენტი: *(იცინის)* მაგაზე მეც მიფიქრია, ხომ იცით!

ფოიერბახი: მაგ თქვენი პასუხით პირდაპირ განმაიარაღეთ. თითქოს უკვე მესიმპათიურებით კიდეც!

8

ფოიერბახი: მაგრამ მაინც გეტყვით, რომ თანმიმდევრულობა გაკლიათ ქცევებსა და ხასიათში. ამის გარეშე კი შეუძლებელია იმ პროფესიის დაუფლება, თქვენ რომ ასე გწადიათ! - აბა, მე თქვენგან აბსოლუტურად განვსხვავდები. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, მაქსიმალურად ვიხარჯები და ძირისძირობამდე მივყვები, რაც ალბათ თქვენთვის წარმოუდგენელია. მაგალითად, თუ ჯაყვა დანით შემთხვეევით ხელი გამეჭრა, მარტო კანის გაკაწვრით კი არ დავკმაყოფილდები, უფრო ღრმად ჩავალ, იქამდე, რომ შეიძლება საჩვენებელი თითი მთლიანად წავითალო კიდეც.

ასისტენტი: რას ამბობთ?

ფოიერბახი: *(შეკრთება)* ეს ისე ვთქვი, სიტყვაზე.

ხმა მიკროფონიდან: ძაღლი უკვე მოიყვანეს.

ფოიერბახი: სცენაზე ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ დამემართა. ისეთი მაგარი იყო, რომ მახსენდება, დღემდე სიცილით ვკვდები. რეჟისორმა მთხოვა, დეზდემონასთან სცენას რომ გაითამაშებ, კიბეზე კიდევ სამი საფეხურით მაღლა ადიო. იქ კიდევ ერთხელ შემოვბრუნდებოდი, მერე ძირს ჩამოვიდოდი და მეორე მხრიდან გავიდოდი. - რაო, რა ძაღლიო?

ასისტენტი: არაფერი, არაფერი.

ფოიერბახი: მე კი მარტო სამი საფეხური კი არ ავიარე, მეოთხეც, მეხუთეც, კიბის ბოლომდე ავედი! არადა, თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, თუ სად მთავრდება თეატრალური კიბეები? სად და არსად, სიცარიელეში! ეს ხომ მხოლოდ ფიცარნაგია, ვითომ კიბეა! ყველანი მიყვიროდნენ: სდექ, გაჩერდი, გეყოფა, ნუღარ მიდიხარო! საბედნიეროდ, კარგად დავეცი, კისრის მოტეხვას გადავრჩი. *(სიცილისაგან ბჟირდება).*

ასისტენტი: უცნაურია.

ფოიერბახი: იმდენი ვიცინეთ, იმდენი ვიცინეთ, მოვკვდით სიცილით! - მიდიხართ სადმე?

ასისტენტი: *(ფეხზე წამომდგარა, სცენისკენ მოდის)* ეს ძაღლი სადღა ჯანდაბაშია? ბოლოსდაბოლოს მიხედავს ვინმე ამ უჯიშოს?

სცენის მომსახურე პერსონალიდან სცენაზე არავინ ჩანს.

ასისტენტი: მაინც სად დაიკარგნენ, კაციშვილი რომ არა ჩანს?

ფოიერბახი: რა ხდება, ასე ხომ არ შეიძლება, ადგებით და ისე წახვალთ, ვითომც აქ არაფერიაო?

ასისტენტი: მე რა, თქვენი ყარაული ხომ არ გგონივართ?

ფოიერბახი: *(შეძრწუნებულია)* არა, არა, თქვენ სადაური ჩემი ყარაული ხართ! ღმერთმა დამიფაროს! არა! ასეთი აზრი თავში როგორ მოგიფიდათ? თითქოსდა ყარაული რამეში მჭირდებოდეს! ბატონ ლეტაუსთან, თქვენს დირექტორთან გინდოდათ ალბათ მისულიყავით და გეთქვათ, რომ უკვე დიდი ხანია აქა ვართ და ველოდებით. არ გინდათ, ნუ შეწუხდებით! მე ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ! *(სცენის თაღებს ასძახის)* ჩემი მოთმინება უსაზღვროა!

ფოიერბახი: აქ ხომ ყველგან მიკროფონებია დაყენებული, ალბათ ვიდეოკამერაც გვითვალთვალებს. თუმცა შეიძლება რეპეტიციის მერე გამოთიშეთ კიდეც, რათა ბატონ ლეტაუს დასვენების საშუალება მისცეთ. გასაგებია. ყველაფერი კარგად მესმის. როგორი ასატანია. სულ თეატრი და თეატრი! რომ იღვიძებს, ალბათ ფიქრობს: ისევ ეს თეატრი! ცდილობს, როგორმე ცხოვრებას დაუბრუნდეს, ამიტომაც თიშავს ამ აპარატურას. ყველაფერი რომ მიწყნარდება და თეატრი სულს გაკმინდავს, მხოლოდ მაშინ თუ აღიდგენს ცხოვრება თავის დაკარგულ უფლებებს. *(კვლავ წამოიყვირებს)* ჩემი მოთმინება კი უსაზღვროა! - ნეტავი ესმის ჩემი?

ასისტენტი: არა მგონია.

ფოიერბახი: რა სიჩუმეა! აი, ვაყურადებ: მელანივით ბლანტი სიჩუმეა. ისეთი სიწყნარეა, რომ დაჯერებაც გიჭირს. აი, ფეხსაცმელებს ვიხდი, რათა ჩემი ნაბიჯების ხმამ არავინ შეაწუხოს. იმიტომ, რომ ჩემი ნაბიჯების ხმას შეუძლია ეს სიჩუმე დაარღვიოს. უფრო მეტიც, თუ არ გავიხადე, ისეთი ხმაური ატყდება, ჭექა-ქუხილი მონაგონი იქნება. *(ფეხსაცმელები გაიძრო და ავანსცენაზე დაალაგა. მოსინჯა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. წინდებით უხმაუროდ დააბიჯებს)* რატომღაც ითვლება, რომ მხოლოდ სადმე, ბუნების წიაღში თუ განმარტოვდები, მხოლოდ იქ თუ შეძლებ ამ სამარისებური სიჩუმის შეგრძნებას.. და კიდევ უდაბნოში. მე კარგად ვიცნობ უდაბნოს, მივლია და ღრმადაც ჩავფლულვარ კიდეც სილაში, ძვალზე პირდაპირ სალტესავით რომ გეჭდობა - იქაც კი რაღაც ძალა სულ სულ წინ-წინ მიმაქანებდა. მაგრამ სამარისებური სიჩუმის შეგრძნება თეატრშიაც კი შეიძლება გესტუმროს, თანაც სრულიად უმნიშვნელო სპექტაკლის დროს. წარმოიდგინეთ, დარბაზში ათასი კაცი ზის, შეიძლება მეტიც, მსახიობმა ხელი ისეთნაირად აიქნია ან რომელიმე ფრაზის წარმოთქმისას ისე სხვანაირად გამოიხედა, ან წუთით ისე შეყოვნდა, რომ ანაზდად დიადი მდუმარების წამი დადგა. სტალაქტიტების მღვიმის ბინადარი, სულისშემძვრელი მდუმარების. ჩაბნელებულ პარტერში ათასობით ადამიანია. ასეთ წუთებში თითქოს დროც ჩერდება ხოლმე. - Sitit anima mea Deum, Deum vivum[3] - დიდება გაცოცხლებულ ღმერთს! - აბა, თქვენ თუ მეტყვით, ბატონო ასისტენტო, მაღალი ღმერთი ჩვენ თვითონვე ხომ არ გამოვიგონეთ? - თქვენ როგორღა მოხვდით თეატრში?

ასისტენტი: *(არ უსმენს)* ვინა, მე?

[3] ჩემი სული ღვთისაკენ მიიღტვის, ცოცხალი ღმერთი სწადია. (ლათ.)

9

სცენის უკან ძაღლი გადაირბენს.

ფოიერბახი: ჯერ იმას მოგიყვებით, მე როგორ მოვხვდი. უკვე ერთი საათია ვიცდით და როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი. მაშინ შვიდი წლისა თუ ვიქნებოდი. საკმაოდ მარტოსული ბავშვი ვიყავი. აი, ჩემს თავს ვხედავ დეიდაჩემთან ერთად ტირში მიმავალს. არა, სასროლად კი არა, სროლა არ მიყვარდა. ხომ ყველა ბიჭუნას უყვარს სროლა, რევოლვერს ვინმეს მიუშვერენ და ტყვიამფრქვევივით აკაკანდებიან ხოლმე. მე ეს არასდროს მდომებია! ამ სახლში ხანდახან თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე, ძირითადად საგასტროლო, ამ კვირა საღამოს კი საბავშვო წარმოდგენა იყო დანიშნული. აღფრთოვანებული ვიყავი. ირგვლივ ყველაფერი იდუმალი ცისფერი შუქით იყო განათებული. უცბად ერთი ფიგურა გამოჩნდა, მეტისმეტად დიდი და ოქროცურვილი იყო - ოო, როგორ მშურდა მათი, ვინც ზემოთ იყო, სცენაზე, აქეთ-იქით დადიოდა, ლაპარაკობდა, იცინოდა... ერთ-ერთი მათგანი დაფრინავდა კიდეც! დეიდაჩემს ვკითხე, შემოსასვლელი ბილეთების ყიდვას ჯობდა გაგეგო, რამდენი უნდა გადაიხადო, ზემოთ რომ აღმოჩნდე და მათსავით ლაპარაკი და ფრენა შეძლო-მეთქი. არც არაფერი, ჩემო პატარა სულელოო, მიპასუხა, ფასიანი მხოლოდ და მხოლოდ ყურებაა. მე არ დავუჯერე. ვიფიქრე, ალბათ ამდენი ფული არა აქვს-მეთქი. ერთი ახალგაზრდა მკერავი ქალი იყო, იმ გაუთხოვარი დეიდებისა და მამიდების ჯიშისა, ცისმარე კვირა დილით თავიანთ დისშვილებსა თუ ძმიშვილებს ხელს რომ ჩაჰკიდებენ ხოლმე და გასასეირნებლად დაჰყავთ, მათ გახარებას ცდილობენ. მთელი მათი ცხოვრების აზრს ეს წარმოადგენს, სხვა სიხარული მათ არ გააჩნიათ. შეიძლება ეს ჯიში გადაშენდა კიდეც უკვე და თქვენ ვეღარც კი მოესწარით ამ საყვარელი, თავმდაბალი და არაჩვეულებრივად ჯიუტი არსებების ხილვას, კეთილსინდისიერად რომ დადგომიან მათთვის წინასწარ მონიშნულ გზას და იმის იმედიც კი არა აქვთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მათი გულისთვის ვინმე წუთით მაინც შედგება და მათთვის კეთილგანწყობილ მზერას გაიმოიმეტებს. - დიახ, მართალია, მე მერე მსახიობი გავხდი, მაგრამ ამის საფასური მთელი ჩემი ცხოვრება აღმოჩნდა. - და თქვენ როგორღა მოხვდით?

ასისტენტი: ავტოსტოპით...

ფოიერბახი: ბატონო, ვერ გავიგე?!

ასისტენტი: ჰო, მანქანამ გამიჩერა. ტრასაზე ვიდექი. სააფრანგეთის სამხრეთში ვაპირებდი მოგზაურობას, გზად მიმავალ მანქანებს დავემგზავრები-მეთქი. მართლაც გამიჩერა ერთ-ერთმა და წამიყოლია. თეატრის დირექტორი აღმოჩნდა.

ფოიერბახი: აჰ, გასაგებია.

ასისტენტი: მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, თეატრის დირექტორი რას ნიშნავდა.

ფოიერბახი: იმას კი მოეწონეთ, არა? აჰა! ისე შესახედავად რა გიჭირთ, მშვენიერი კოხტა ყმაწვილი ბრძანდებით. ხანდახან ესეც საკმარისია ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც.

კულისებიდან ახალგაზრდა ქალი გამოვა, დამუქრებულივით მოდის, შეჩერდება, აქეთ-იქით იყურება, ჩანს, რაღაცას ეძებს. მერე შეტრიალდება და კვლავ თვალს მიეფარება.

10

ფოიერბახი: ჩემი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ შეცდომად იმას ვთვლი, რომ გულწრფელად მჯეროდა, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ბარიერები და შეზღუდვები თეატრში არ მოქმედებენ-მეთქი. მეგონა, რომ იქ ყველაფრის, თითქმის მთელი ადამიანური ყოფის მაქსიმალურად ნათლად, შეძლებისდაგვარად ბოლომდე გადმოცემა იყო შესაძლებელი. მაგრამ თეატრის მთავარი პრინციპი სწორედ დისციპლინის დაცვა ყოფილა. დისციპლინის დარღვევა დანაშაულია! არაკეთილსაიმედოდ არ უნდა ჩაგთვალონ, თორემ მორჩა, ფარდა მაშინვე დაეშვება.

ასისტენტი: ჰო, რა თქმა უნდა.

ფოიერბახი: რამდენი ასეთი შემთხვევა გამიგია, ზოგიერთი შემიძლია გავიხსენო კიდეც. მაგალითად, კრიალოსანის ამბავი "ჰაინრიჰ მეოთხედან".

პორტალზე აყუდებული ფანერი, რომელზეც ალეგორიული ფიგურაა დახატული, უეცრად შებარბაცდება და ზუსტად ფოიერბახის გვერდით ხმაურით დაეცემა. თურმე ის ახალგაზრდა ქალი შემთხვევით უკნიდან წამოედო.

ფოიერბახი: *(შეშინებული წამოვარდება, პანიკაშია, ახალგაზრდა ქალს უყვირის)* ვინა ხართ, რა გნებავთ?

ქალი: *(აუღელვებლად)* ძაღლი მოვიყვანე.

ასისტენტი: აბა სადა? სად არის მერე?

ქალი: ამჟამად სადაა... არ ვიცი. ისიც კი არ ვიცი, მე თვითონ სად ვიმყოფები.

ფოიერბახი: *(უტევს)* სადა და სცენაზე, მოწყალეო ქალბატონო.

ქალი: გმადლობთ. რა საშინელი არეულობაა.

ასისტენტი: კი მაგრამ, ძაღლი სადღაა, რა უქენით?

ქალი: აქამდე რომ მოვიყვანე, ნამდვილად ვიცი. მერე უეცრად აორთქლდა, თითქოს მიწამ უყო პირი. საყელური მოვხსენი. დასუნსულებდა, აქაურობას ყნოსავდა. - იცით, არც კი მჯერა, რომ ეგ ძაღლი თქვენ რამეში გამოგადგებათ. არავის არაფერში არ ჭირდება. მათ შორის, მეც. ჩემმა კოლეგამ გახსენათ ერთხელ, ძაღლს ეძებენო. - რა ვიცი, აქამდე ჩემთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია და...

ფოიერბახი: *(უტევს, ასისტენტს მიმართავს)* მაინც რა უნდა გააკეთოს, როლი აქვს რამე?

ასისტენტი: არა! არავითარი! სრულიად არაფერი!

ქალი: მაშინ სწორად მომიყვანია. სწორედაც რომ არაფერი არ შეუძლია.

ასისტენტი: მხოლოდ ერთი რამე ევალება: თავი უნდა შეიკავოს მასიმალურად. ერთ-ერთ ეპიზოდში სცენაზე შემოიყვანენ, გაატარ-გამოატარებენ და მერე კასრში ჩააგდებენ.

ქალი: ჰო. მაგას კი მოახერხებს. ასე მგონია. - ისე, ეგ პირუტყვი ნამდვილი ღვთის რისხვაა. ჯერ ტაქსში რა დღეში ჩამაგდო. თანამგზავრებმა საყვედურებით ამავსეს. საშინლად ყარს ხოლმე, განსაკუთრებით კი წვიმიან ამინდში.

ფოიერბახი: აბა, რა ექნათ, მეც ასე ვიზამდი.

ასისტენტი: *(გასძახის)* სადაა ეს ძაღლი, მონახეთ ბოლოსდაბოლოს!

უკანდაბრუნებული სცენის მუშები თავიანთ საქმეს განაგრძობენ და ასისტენტს ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ.

ფოიერბახი: ისე, რა უნდა ცხოველს სცენაზე?!

ქალი: მართალია.

ფოიერბახი: მაგისთვის ცირკი არსებობს. აი, გამოშარიშურდება ვინმე, ელეგანტური ქალბატონი, კაბის კალთას დაიფერთხავს და უეცრად მანეჟზე ფინიები ახტუნავდებიან, ნახევარი დუჟინი... ერთად...! წარმოიდგინეთ, რა მაგარია! რა უხამსობაა! *(ისტერიულად იცინის).*

ასისტენტი: *(სცენის მუშებს)* სცენის უკან მაინც მონახეთ, ან სხვაგან, სადმე!

კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს. ბოლოს თვითონვე გარბის სცენის უკან და უწესრიგოდ მიმობნეული ავეჯისა და კულისების ნივთების მიღმა უჩინარდება.

ფოიერბახი: *(უკან მისდევს და თან ელაპარაკება)* კრიალოსანის ამბავი მახსენდება, "ჰაინრიჰ მეოთხედან..."

ორივენი უჩინარდებიან, შორიდან ფოიერბახის ხმა გაურკვევლად მოისმის.

ფოიერბახი: დგას პრინცი მომაკვდავი მამის საწოლთან და თან თითებით კრიალოსანს მარცვლავს. კარგი, ბატონო, კეთილი და პატიოსანი! მერე უეცრად ავანსცენაზე გამოვა, კრიალოსანის თვალს ცერა და საჩვენებელ თითებსშუა მოიქცევს, ერთს დაატკაცუნებს და კრიალოსანის თვალი მაყურებელთა დარბაზში ჩავარდება! სწორედ ასე იყო! ეს იდეა თავში რეჟისორს მოუვიდა და დაიჟინა, აუცილებლად ასე უნდა გააკეთოო. ეს მსახიობი კი ჩაირთო და იმდენ ხანს გააგრძელა, სანამ დარბაზიდან არ დაუძახეს, გეყოფა უკვე, საკმარისიაო! დაუძახებდნენ, აბა, რას იზამდნენ! ატყდა სიცილი და ჟრიამული, მაგრამ რა ატყდა!

ამასობაში მოულოდნელად მარტო დარჩენილმა ქალმა სცენაზე მიმოიხედა, გაშინაურდა და საჩქაროდ მოინდომა იმ ფანერის გასწორება, შემოსვლისას რომ წამოედო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, კვლავ წაექცა და ამჯერად ერთიანად დაეფშვნა. შეშინებული დასცქერის ხელში შემორჩენილ ნაწილს, რომელზეც ქალის უზარმაზარი ანტიკური პროფილია დახატული. ამ მომენტში სცენაზე უეცრად შემოვარდნილი ასისტენტისა და მის კვალდაკვალ გაუჩერებლად მოლაპარაკე ფოიერბახის დანახვისას, ქალი ფანერის თავს ინსტინქტურად კაბის ქვეშ მალავს.

ფოიერბახი: ...პრინცმაც შეწყვიტა თითების ტკაცუნი, ჩაიხედა ქვევით, გამოქვაბულივით ბნელ დარბაზში და მიდიი... აყვირდა: უჰ, თქვე ღორებო! ნამდვილი ღორები ხართ ყველანი! გულისამრევები ხართ! და ასე დაუსრულებლად. რაღას იზამდნენ, ადგნენ და ფარდა ჩამოუშვეს *(დაბნეული გადახედავს ქალს, რომელიც სკამზე უხერხულად ზის, ფანერის თავს ახლა ზურგსუკან, ქურთუკის ქვეშ, მალავს).*

ასისტენტი: ეგ რომელი მსახიობი იყო? ალბათ კინსკი.

ფოიერბახი: ამ ყოველმხრივ შემკობილი მსახიობის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ. აქ საქმე გვაქვს სწორედ გენიალური ნიჭიერების პირობებში დისციპლინის უკმარისობასთან! ერთის მხრივ, პუბლიკა სულ საინტერესო მსახიობებს ითხოვს, გამორჩეული პიროვნებები სურს, ბატონო! ზოგჯერ რეჟისორიც აუბამს ხოლმე მათ მხარს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ისიც ზედმეტად ამბიციურია და ამას იმისათვის იყენებს, რომ წარმოდგენას განსაკუთრებული ხიბლი მიანიჭოს. *(ძალიან აღელვებულია. თითქმის ყვირის.)* მაგრამ ეს ხომ მართებული არ არის! სრულიადაც არ არის მართებული! მუშაობა მკაცრ დისციპლინას მოითხოვს! ზოგიერთს ჰგონია, რა მოხდა, ამ ერთხელ დავარღვევ დისციპლინას, დიდი ამბავიო. თან იმედოვნებენ, რომ ამით იმაზე უფრო საინტერესონი გახდებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან. მე გიჟებს კი არ ვგულისხმობ, უდისციპლინოებზე ვლაპარაკობ.

დუმილი. ფოიერბახი ცდილობს, თავისი დისციპლინირებულობა ჟესტიკულაციისა და მოძრაობების მეშვეობით წარმოაჩინოს.

ფოიერბახი: მინდა რაღაც გკითხოთ, მაგრამ ამ მიკროფონების გადამკიდე ხმადაბლა შეგეკითხებით. ალბათ იქ ყურები აქვთ დაცქვეტილი, განსაკუთრებით კი თქვენი პასუხები აინტერესებთ. ჩემს როლზე კიდევ რომელი მსახიობი განიხილებოდა?

ასისტენტი: მაგისი მე არაფერი არ ვიცი.

ფოიერბახი: თქვენ ხომ სულ ბატონი ლეტაუს ახლომახლო ტრიალებთ. არ არსებობს, რამე არ ეხსენებინოს. სახლში მაინც იტყოდა რამეს. ყურმოკრულად მაინც არაფერი იცით, თუნდაც ჭორის დონეზე?

ასისტენტი: ხომ გითხარით, მაგის შესახებ მე არაფერი ვიცი-მეთქი.

ფოიერბახი: კარგი, ჰო, კარგი! ყველაფერი რიგზეა! თქვენგან არც მწყინს, კორექტულადაც კი ვთვლი. ძალიან მომწონს, ჩემს მიმართ ასეთი ლოიალური რომ ბრძანდებით! მართლაც დასაფასებელია! მოიცადეთ... თვალს რატომ მიკრავთ?

ასისტენტი: ვინა, მე?

ფოიერბახი: უი, მაპატიეთ, ეხლაღა მივხვდი, მარცხენა თვალზე პატარა წიკი რომ გჭირთ, ნერვოზული. ადრე როგორ ვერ შეგამჩნიეთ, ჩემგან მოშორებით იყავით და ალბათ მაგიტომ, თანაც რას შეამჩნევ დარ-

ბაზის შუქზე. ეხლა კი, ასე ახლოდან... უცბად ვიფიქრე, თვალს ხომ არ მიკრავს-მეთქი! *(იცინის)* პატარა დეფექტი... ხელოვნური ხალი თვალში.. *დუმილი*

ფოიერბახი: თიმს ხომ არ შესთავაზეს? მარადმწვანე ჭაბუკია. ცარიელი. გრძნობებისგან დაცლილი. - ან იქნებ კოოლვაისს? ვირტუოზია, გარეგნულად მაინც. - ბილჰაგენი ხომ არა? ჰა? ნიჭიერია, ჰო, მიზანდასახულიც, მაგრამ რად გინდა მერე, ენა ებმის. - შნეებერგერიც შეიძლებოდა, თუმცა ზედმეტად რაციონალურია, ემოციის ნასახიც კი არ გააჩნია. კიდევ ვინ... ვინ კიდევ... არსებობს მხოლოდ ერთი მსახიობი, ერთადერთი, რომელიც...

ასისტენტი: ვიცი ვინც, ფოიერბახი.

ფოიერბახი: ეგ თქვენი პრიმიტიული ხუმრობები თქვენთვის შემოინახეთ. ისეთ ადამიანებზეა გათვლილი, ყველაფერზე რომ იცინიან და ლაზღანდარობენ. ყურყუტებთ მთელი დღე სასადილოში, გარს მესამეხარისხოვანი მსახიობები გახვევიათ და მიეჩვიეთ უკვე, რომ ყოველ თქვენს შენიშვნაზე ყურისწამღები ხარხარი უნდა ატყდეს. მაგრამ მიმოიხედეთ, აქ არავის ეცინება. ის დიდი მსახიობი კი, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, უკვე მოკვდა. ალკოჰოლმა შეინირა. შეიძლება ითქვას, რომ მისი გენიის შესატყვისი ბუნება არ აღმოაჩნდა. ნიჭი ბუნებას ბევრად აღემატებოდა. სადღა იპოვი დღეს ასეთ მსახიობს. ახლა ბლომად არიან ექსჰიბიციონისტები, ექსცენტრიკოსები, ისეთი მსახიობები, ბატონო, რომლებიც თავიანთ როლებს "სახალხოდ გამოფენენ" ხოლმე, როგორც ამას დღეს უწოდებენ. სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ კუდაბზიკობას ააშკარავებენ.

ასისტენტი: კარგი, მაგრამ გენიალობით მეორე ადგილზე მაინც ფოიერბახია.

ფოიერბახი: თქვენ ჩემი ჯერ კიდევ არ გესმით, მაგრამ ცდუნებას გავუძლებ და ჩემს სათქმელს მაინც ბოლომდე ვიტყვი. არსებობს ერთი განსაკუთრებული რამ, რაც მე ყველა ჩემს მიერ ნახსენები არტისტისაგან განმასხვავებს - ხომ ხედავთ, მე მათ მაინც არტისტებს ვუწოდებ - ეს არის ის რომ, მე ხილვა მაქვს და ამას უდიდესი სიმდაბლით ვღებულობ. მთლიანად ვემორჩილები.

წინ გადაიხრება და ასეთ მდგომარეობაში შეშდება.

ამასობაში ქალმა მოახერხა და ფანერის ნაგლეჯი თავიდან მოიშორა.

11

ფოიერბახი: *(თვინიერად მიმართავს შეშინებულ ქალს, სკამზე თვინიერად რომ ჩამომჯდარა).* მაინც ვინ არის ფოიერბახი? - ვინ ვარ მე? - არავინაც არა ვარ. ნული ვარ. - სრული არარაობა ვარ. გუშინ პარფიუმერიის მაღაზიაში პირის გასაპარსად მაჩვის ბენვის ფუნჯს ვყიდულობდი, ამ ამბავში, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ძველმოდური ვარ, პატენტებს ვერ ვიტან, ამ მეტისმეტად ჩქარ, მყისიერ პროდუქტებს, ამ აეროზოლებს და ეგეთ რაღაცეებს. მოკლედ იქ ვიყავი და ვიღაცა გამომელაპარაკა. - გამარჯობათ, ბატონო ფოიერბახ! - ვის ეუბნებით-მეთქი, შევეკითხე. წარმოგიდგენიათ, ჩემი სახელი სრულიად დამავიწყდა, ანუ კი არ დამავიწყდა, უბრალოდ ჩემს პიროვნებას ვერ დავუკავშირე. და უნდა ითქვას, რომ ძალიან გამეხარდა.

ასისტენტი: აბა რა. ძალიან პრაქტიკულია. "ჩემი სახელია მე... ბებრისჭიპა" *(იცინის)*

ფოიერბახი: მიდით, მიდით, დამცინეთ! გამამასხარავეთ! მაინც ვერაფერს გამომრჩებით! ვერც თქვენ და ვერც სხვა! მთელი ჰუბლიკაც რომ აიყოლიოთ, ვერც მაშინ, თუმცა მსახიობისათვის ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს. ამით მას მხოლოდ ღიმილს მოჰგვრით. მას მხოლოდ გაეცინება. მოკვდება სიცილით. გამუდმებით შეურაცხყოფას აყენებენ, ლაფში სვრიან, მას კი უხარია! მხოლოდ ის აწუხებს, რომ ამ ქვეყნად ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც მასზე უფრო მეტად ძულთ. მისი ნება რომ იყოს, დიდი სიამოვნებით გახდებოდა ამქვეყნად ყველაზე საძულველი ადამიანი.

ასისტენტი: მაინც ვინ არის "ის", ვიზე ლაპარაკობთ?

ფოიერბახი: აი, დამჯდარა სადგურის წინ და ნაგავში იქექება, დამპალ ზეთისხილებს აგროვებს, რათა მერე პირში გადაუდახოს. სულაც არ ეზიზღება, არავითარ შემთხვევაში! გაივლიან ხოლმე ის ქედმაღალი კოხტაპრუწა ოფიცრები, ერთ დროს მეგობრობას რომ ეფიცებოდნენ, ფეხს წაკრავენ, ამ ჭუჭყიან ურიას აქ რა უნდაო. ვერც კი ცნობენ. მას კი უხარია, გიჟდება სიხარულით. ნაბადივით რომ თელავენ, მისი ტრიუმფი სწორედ მაშინ დგება. სამაგიეროდ ჩიტებს ესმით მისი, თევზები უსმენენ. გვერდით ვეფხვი მოჯდომია. მის შემხედვარეს სადღა ახსოვს თავისი გასისხლიანებული ბრჭყალები.

ასისტენტი: ვინ "ის", მაინც ვის გულისხმობთ?

ფოიერბახი: *(ჯიბიდან ასანთის კოლოფს ამოიღებს და ჰაერში აისვრის)* ერთი ამას შეხედეთ! როგორი პატარა და ხტუნია რამეა!... დახალული... უჰ, ჩამოვარდა. *(კოლოფს ხელში აიღებს)* წარმოგიდგენიათ, ეს კოლოფი სულ შემთხვევით აღმომაჩნდა ჯიბეში, სრულიად შემთხვევით. მე ხომ არ ვეწევი. ცარიელია, ნახეთ, როგორი მსუბუქია, ბუმბულივითაა. - შეხედეთ, ერთხელ კიდევ ავაგდებ. *(კოლოფს კვლავ ჰაერში ისვრის, მაგრამ ამჯერად იგი უკან აღარ ვარდება.)* Cara sora[4], დაიკო! Vença! Venga![5] მიფრინავს! ზევით ადის! *(სცენაზე დარბის, ზევით იყურება, ცაში)* დაინახეთ! უკან არ ბრუნდება! მიფრინავს!

ასისტენტი: მაგარი ფოკუსია! ყოჩაღ!

ფოიერბახი: შეხედეთ - ახლა ორნი არიან! მოდით ჩემთან, მოფრინდით! - Venite qui![6] ჩემო ბუმბულის ფთილებო! - აქეთ, აქეთ, ტოტებივით

[4] ძვირფასო დაიკო (იტალ.)
[5] ჩემსკენ! ჩემსკენ! (იტალ.)
[6] წამოდით ჩემსკენ (იტალ.)

გადაგიშლით ამ ჩემს მკლავებს, ხელებს, ჩამოსხედით, დაისვენეთ! - მოდით-მეთქი! დამიჯერეთ! გაიგონეთ ჩემი ნათქვამი!

უეცრად ფრთების შხუილისა და შიშინის ხმა გაისმის, ფოიერბახს ჩიტების მთელი გუნდი შემოეხვევა, ასობით ფრინველი აფარფატდება მის გარშემო. მას კი მკლავები გადაუშლია და სახეზე ნეტარება დასთამაშებს. ქალი მუხლებზე იჩოქებს და სასწაულის ნიშნად მისკენ ხელებს იშვერს. ასე გაუნძრევლად დგას იგი ამ სცენის დამთავრებამდე.

ასისტენტი: *(ავანსცენისკენ გარბის)* ახლავე შეწყვიტეთ! შეწყვიტეთ ახლავე! მორჩით-მეთქი!

ჩიტები მასაც დაეხვევიან, ის კი იკუნტება და მკლავებს თავზე იფარავს, თავს იცავს.

ასისტენტი: აქედან დაიკარგეთ! აქშა! აქშა-მეთქი!

ფოიერბახი: Venite! თქვენთან საუბარი მწადია, ღვთის მიერ შექმნილო, პატარა თავნება არსებანო, ჩემო ძვირფასებო, ჩემო უმცროსო ძმანო და დანო. მინდა გაცნობოთ, თუ რაში მდგომარეობს უზენაესი ნეტარება. აი, შემოდის დარაჯი, ჩვენი ერთ-ერთი ძმათაგანი და რისხვაჩამდგარი ხმით გვეკითხება: Chi isiete voi? E nnoi diremo: Noi siamo due de vostri frati, e cholui dirà: voi non dite vero, anzi siete due ribaldi che andate inghannando il mondo et rubando le limosine de' poveri, andate via! e non ci aprira, e ffaràcci istare di fuori alle neve et all' aqua, cchollo fredde e ccholla fame, infine alla notte, allora, se nnoi tante ingiurie e tanta crudeltà e ttanti cchommiati sosterremo paziemente sanza turbazioni e sanza mormorazione di lui, e penseremo umilemente e charitativamente che quello portinaio veracemente ci chonoscha, e cche Dio il faccia parlare cchontra noi: o Fratelli ucelli, ivi è perfetta letizia... E sse nnoi, pur chostretti dalla fame e dallo freddo e dalla note, piu picchieremo e chiameremo e pregheremo per. L'amor di Dio con grande pianto che cci apra e mettaci pur dentro, quelli piu ischandelazzato dirà: Chostori sono ghaglioffi importuni, io gli pagheròbene chom ll elli sono deghni, e uscirà fuori chon uno bastone nocchieruto, e piglieràcci per lo cappucio e getteràcci in terra e in volgeràcci nella neve e batteràcci a nnodo a nnodo chon quello bastone; se noi tutte questo chose sosteremo pazientemente e cchon allegrezza, pensando le pene di Cristo benedetto le quali noi dobbiamo sostenere per suo amore: o fratelli, mie sorelle, iscrivi che in questro è perfetta letizia.[7] - აბა, იგალობეთ ერთხმად, ჩემო ძვირფასნო, ადიდეთ შემოქმედი.

[7] "ვინა ხართ?" ჩვენ კი მივუგებთ: "ორნი ძმანნი, თქვენი საძმოს წევრნი". ის კი ამაზე გვიპასუხებს: "ცრუობთ. უფრო სწორედ, თქვენ ის მანანწალები არა ხართ, ხალხს რომ ძარცვავენ და ღარიბ-ღატაკთ უკანასკნელ ლუკმას ართმევენ. მოშორდით აქედან", კარებსაც არ გაგვიღებს და იმ თოელსა და უბედურებაში გარეთ დაგვტოვებს დაღამებამდე, ასე მშიერებსა და გაყინულებს. და თუკი ჩვენ მორჩილად ავიტანთ ამ სისასტიკეს, უსამართლობას და თავგანწირვით, ქრისტიანული სიყვარულით შთაგონებულნი, ყოველგვარი გაბოროტებისა და წუწუნის გარეშე შევიგნებთ, რომ დარაჯი სამართლიანად მოგვექცა და მისი მეშვეობით თვით ღმერთი გველაპარაკებოდა, მაშინ, შეგიძლია, ძმაო ჩემო, ჩაიწერო, რომ ეს არის სწორედ ჭეშმარიტი მადლი. და თუკი სიცივისა და შიმშილისგან დაოსებულნი, ღამის საბნელით გარემოცულნი, კიდევ ერთხელ ავტეხავთ

ჩიტები ულურტულ-ულურტულით გაფარფატდებიან. ქალი ფეხზე წამოდგება და ადრინდელივით სკამზე ჩამოჯდება.

12

ფოიერბახი: *(მოკუნტულ ასისტენტს მიმართავს, იქვე რომ ჩაცუცქულა)* რა მოხდა, რა მოგვიდათ, როგორ მოკუნტულხართ?

ასისტენტი: *(წელში იმართება და თავის ადგილს უბრუნდება)* არაფერი, რა იყო?

ფოიერბახი: ეს იყო ძველიტალიური! მაგრამ მე ეს ენა არასოდეს არ მისწავლია და ამიტომ არც მესმის! - მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ სულაც არ არის საჭირო, რომ ტექსტი მთლიანად დაიზეპირო! როგორღაც თავისთავად ხდება, სიტყვები თავისით მოგდის! - ტექსტის სწავლისას კი ტვინში მხოლოდ ინფორმაციის შენახვის პროცესი მიმდინარეობს, მექანიკური.

ასისტენტი: ვერ გავიგე, თქვენ ახლა თეატრზე ლაპარაკობთ, თუ სხვა რამეზე?

ფოიერბახი: თქვენ მე სრულებით არ მენდობით.

ხანგრძლივი, უხერხული დუმილი. ბოლოს ფოიერბახი ხმადაბლა ალაპარაკდება.

ფოიერბახი: შეიძლება მართლაც მეტისმეტი მომივიდა, ზედმეტად გავრისკე, გთხოვთ მომიტევოთ. ამდენი ხანია ვიცდით. ასე ხდება ხოლმე. ლაპარაკს შეყვები, გზა აგერევა, აზრებს გამოეკიდები და მორჩა, აფრების აშვებასაც რაღა უნდა. შევცდი, ერთი ახალი გაზეთი უნდა მეყიდა და აქვე სადმე, კუთხეში, ჩემთვის მივმჯდარიყავი, არავის ხელს არ შევუშლიდი და იქამდე ვიკითხავდი, სანამ საჭირო იქნებოდა. სანამ არ მომიკითხავდნენ. - ჩიტების გუნდი დაინახეთ მაინც?

ასისტენტი: მე არა. - *(ქალს ეკითხება)* თქვენ, ქალბატონო ანგერმაიერ?

ქალი: *(ხელს აიქნევს)* მე რა. უბრალოდ ვიცდიდი. ვიჯექი აქა და ვიცდიდი.

ასისტენტი: კარგი, მერე რა იყო, მერე?

კაკუნს და უფრო მეტი დაჟინებითაც, და დარაჯს ცრემლიანნი შევეეედრებით, ღვთის გულისათვის შემოგვიშვიო, მას კი ამ დროს საოცარი მძვინვარება დაეუფლება და წამოიძახებს:"ვის ყოფილან ეს აბეზარი ბრიყვები, ამათ ვის გადაეეყარე. ახლა ამათ ვაჩვენებ სეირს"-ო, ხელში კეტს აიღებს, გარეთ გამოვა, კაპიუშონებში ხელს ჩაგვავლებს, მიწაზე დაგვანარცხებს, თოვლში გვაგორავებს და კეტით მაგრად დაგვზილავს. ჩვენ კი თუ ყოველივე ამას მორჩილებით და სიხარულით მივიღებთ, მოვითმენთ და იმაზე ვიფიქრებთ, თუ რა ტანჯვის გადატანა მოუხდა ჩვენი გულისთვის მაცხოვარს, მასთან შედარებით ჩვენი გასაჭირი ლხინად მოგვეჩვენება - ო, ძმაო ჩემო, ჩაიწერე, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი წყალობა" *(ძვ. ტალიური).*

"წმიდა ფრანცისკის ყვავილები" - წმიდა ფრანცისკ ასიზელის (1181-1226), ფრანცისკანელ ბერთა ორდენის დამაარსებლის შესახებ არსებული ლეგენდების კრებული.

ქალი: რა გინდათ ჩემგან, მე ჩემთვის ვარ, რა უნდა გითხრათ.

ფოიერბახი: ნიბლია. სკვინჩა. ნისკარტმარწუხა. სოფლის და ქალაქის მერცხლები. ყვავი. ყორანი. დიდი ჭრელი კოდალა. მაბზაკუნა. ბზეწვია. ჭკა. ჩიტბატონა. ჭინჭრაქა. ღობემძვრალა. შოშია. პრანწია. ოფოფი. ბელურა. წივნივა. კაჭკაჭი. მთის ჭკა. ტყის ქათამი. საყვარელი ჭივჭავი. წყლის ბუღა. სტვენია. შავი შაშვი. ხომ ყველანი დაინახეთ?

ასისტენტი: მე საერთოდ არაფერი არ დამინახავს.

ფოიერბახი: რა ღღეში ვარ, სახეზე ოფლი წურწურით ჩამომდის! მომიახლოვდით, შემომხედეთ! მე ხომ ასე თქვენი გულისთვის ვცდილობდი. რაც შემეძლო, ყველაფერი უანგარიშოდ გავეცი, მხოლოდ თქვენთვის! დაფიქრდით ამაზე! მხოლოდ თქვენთვის!

ასისტენტი: გმადლობთ.

ფოიერბახი: რას ნიშნავს, "გმადლობთ"? - დამცინით, არა? გავიგონე, როგორადაც წარმოთქვით: გმადლობთ! - ყმაწვილო! თქვენს გარშემო ვარსკვლავები ირევიან, ციმციმებენ, გრძნობთ კი ამას? რატომ არ წამოდგებით და მკლავებს ზე არ აღმართავთ?

ასისტენტი: ეს რომელი ფოიერბახი იყო ახლა, ორიგინალში თუ...?

ფოიერბახი: მე აქ სცენა გავითამაშე.

ასისტენტი: *(დადარაჯებულია)* აჰა! რომელი პიესიდან?

ფოიერბახი: ეს პიესა ულმში მაქვს ნათამაშები.

ასისტენტი: ულმში, არა? ასე, ასე.

ფოიერბახი: ჰო, ულმში, პროფესორ ბოიმლერის ხელმძღვანელობით.

ასისტენტი: ეგეთი ვინმე საერთოდ არ გამიგია.

ფოიერბახი: უაღრესად განათლებული და სასიამოვნო კაცია! ამასთანავე გულისხმიერი და ალღოიანი დირექტორი.

ასისტენტი: ძალიან უცნაურია. და პიესას რა ჰქვია?

ფოიერბახი: არ გინდათ! ასე ნუ მექცევით, ნუ მექცევით ასე!

ასისტენტი: ულმის თეატრს ასე თუ ისე ვიცნობ. იქაურ დირექციაში არავითარი პროფესორი ბოიმლერი არ მეგულება.

ფოიერბახი: "ასე თუ ისე" - ამ სიტყვის გაგონებაც კი არ მინდა. უძლური სიტყვაა! გადაღლილი სიტყვაა, არაქათი აქვს გამოცლილი!

ასისტენტი: ბოიმლერი არ არსებობს-მეთქი!

ფოიერბახი: როგორ გეკადრებათ! ყველასგან გამორჩეული, დიადი პიროვნებაა და პირველ რიგში, სწორედ მსახიობებთან ურთიერთობაში. მოდიოდნენ ხოლმე კოლეგები - და არა მარტო ქალბატონები, როგორც ამას ჩემი სიტყვებიდან ვარაუდობთ - მოდიოდნენ და ხელებს უკოცნიდნენ **და** ~~ო~~ქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ფეხებსაც კი! სრულიადაც მართებულად! მე, მაგალითად, ასე მითხრა: თქვენ უაღრესად ნიჭიერი მსახიობი ბრძანდებით, ფოიერბახ, მაგრამ მართლაც განსაკუთრებული რომ გახდეთ, თქვენი პიროვნული კონდიციები ბოლომდე უნდა გამოავლინოთო. მერედა რაში გამოიხატებოდა ჩემი კონდიცია? მაგალითად იმაში, რომ მე ავდექი და კიოლნის მსახიობთა სახლის ცეცხლსაქრობი მონყობილობა ჩემით ავამოქმედე, თან ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ არც იმ დარაჯმა იცოდა რამე, მე რომ უკვე დიდი ხანია მიცნობს და ყოველდღე ავუვლ-ჩაუვლი ხოლმე და არც მეხანძრემ. არ გამიგებინებია და საიდან ეცოდინებოდათ! ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ იმ დროს, როცა ხანძრის არანაირი საშიშროება არ არსებობდა, არც ალი ჩანდა სადმე და არც კვამლი, წყალმა იწყო დენა, მშვენივრად იდინა ამ სიბნელეში, თუმცა საავარიო შუქი კი ენთო, მისი ჩაქრობა ხომ არც ერთ ვარიანტში არ შეიძლება. იმატა და იმატა წყალმა. ჯერ მაყურებელთა დარბაზი აავსო, მერე სცენასაც მიწვდა. სწორედ ამის მიღწევა მინდოდა და პროფესორმა ბოიმლერმაც მთლიანად გამიგო, ჩემი მცდელობა დააფასა.

ასისტენტი: ნეტავი ის გამაგებინა, ეგ პროფესორი ბოიმლერი ვინ არის!

ფოიერბახი: *(ჭირვეულად)* ახლახან არ გითხარით, ვინც არის! ჩვენ ძალზედ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით, შეიძლება ითქვას, ვიღწვოდით, წლების მანძილზე! ვერც ერთ სხვა პაციენტთან... ანუ პაციენტთან კი არა... რა, პაციენტი ვახსენე? ახლავე ამოშალეთ ეს სიტყვა, თუ შეიძლება! ეს სიტყვა მე არ მიწარმოებია. აქ დამხვდა. მართალია, სიტყვების ნარმოება მე კი მეგების, როგორც ხელოვანს, მაგრამ ეგ ჩემი ნაწარმოები სიტყვა არ არის! სხვა სიტყვა მინდოდა მეთქვა და მთელი ჩემი სულიერი ძალები ახლა სწორედ მის მოსანახად მაქვს მომართული *(დაბნეული ბურტყუნებს. სიტყვას ვერ პოულობს).*

ასისტენტი: გასაგებია ყველაფერი.

ფოიერბახი: *(ღონემიხდილია)* დიდი ბოდიში. მაპატიეთ.

ხანგრძლივი დუმილი.

13

ფოიერბახი: თქვენ ყველაფერი შესანიშნავად იცოდით. მთელი ამ დროის მანძილზე. თუმცა შეიძლება დასაწყისში არა, ჰო, თავიდან ნამდვილად არ გეცოდინებოდათ. უკან რომ დაბრუნდი და სკამით პატარა იმპროვიზაცია გავითამაშე, კი გაგიკვირდათ, მაგრამ არ შეშფოთებულხართ. ჩემმა ვირტუოზულობამ განგაცვიფრათ! ამას არ მოელოდით. ვინ იცის, როგორი დაძაბული, შეიძლება საკმაოდ ვულგარული რეპეტიციები გქონდათ. მერე იძულებული გახდით ჩემთან ერთად კიდევ აქ დარჩენილიყავით, ჩემს მიმართ ხომ საერთოდ არავითარი ინტერესი არ გაგაჩნდათ. ეს ასეა, ტყუილად თავი რატომ უნდა გავიმხნევო, რაში მჭირდება. ზუსტად გაკვირდებოდით. სხვათა შორის, საკმაოდ მალე მოვახერხე თქვენი ყურადღების მიქცევა, გაფაციცებული მიცქერდით და მისმენდით კიდეც. ალბათ იმედოვნებდით, რომ ამა თუ იმ საინტერესო დეტალს თქვენს მომავალ დადგმებში გამოიყენებდით. მხოლოდ მაშინ შეშფოთდ-

ით და გაუცხოვდით, კიბის ამბავი რომ მოგიყევით. არა, ეს არ უნდა მეხსენებინა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეხსენებინა! ისეთი იაღლიში მომივიდა, ამ სიტუაციაში რომ არ მეპატიება. წასვლა რომ დააპირეთ, მაშინ გინდოდათ ბატონი ლეტაუ მოგეძებნათ და მოგეხსენებინათ, რომ მე არაკეთილსაიმედო ადამიანი ვარ, შვიდი წელი რომელიღაც დაწესებულებაში გავატარე და სულ ახლახანს გამოვედი. რა, ტყუილს ვამბობ? - მაგრამ მე მაინც მოვახერხე თქვენი შეჩერება და კვლავ საუბარში აგიყოლიეთ, ერთმანეთს საინტერესო აზრები გავუზიარეთ. იცით, ერთი წამალი მაქვს, ახალგამოგონებულია, დიდი ხანი არაა, რაც ხმარებაში შემოვიდა, არამდგრად ფსიქიკას აწონასწორებს. ამ წამლის მეშვეობით თავისუფლად შემიძლია წონასწორობა შევინარჩუნო. ხომ გესმით? ეს გადამწყვეტი მომენტია.

ასისტენტი: ჰოო? გასაგებია. დიახ. დიახ.

ძაღლი კვლავ გამოჩნდება, პირში მკვდარი ჩიტი უკავია.

ქალი: *(კივის)* აი, ეგერ არის!

თავისი კივილის თვითონვე შეეშინდება და აქაოდა გაუჩერებლად მოლაპარაკე ფოიერბახს ხელი არ შევუშალოო, მთელი სცენის გავლით ძაღლისაკენ ფეხაკრეფით მიემართება. ცდილობს, როგორმე მიიტყუოს. შიშობს, ვაითუ ისევ გამექცესო, ბოლოს მოახერხებს და დაიჭერს. პირიდან ჩიტს გამოუღებს და მოისვრის.

ქალი: მოაშორე ეგ ჩიტი აქედან!

ფოიერბახი: ან იქნებ პირველი ეჭვი მაშინ გაგიჩნდათ, დაუფიქრებლად რომ მოგიყევით - უბრალოდ ვიფიქრე, გავართობ-მეთქი, - საპურედან მთელი პური როგორ ამოვიღე, ზუსტად ისე, როგორც რეჟისორი მეუბნებოდა, და ჩემს პარტნიორს, სახელმწიფო მოხელეს, ვესროლე, მაგრამ არ მომირტყია. მერე კი გავაგრძელე და ჯერ სხვა პურები ვტყორცნე, მერე საპურე მივაყოლე, სკამი, რა ვიცი, ყველა ნივთი, რაც კი ხელში მომხვდა, თვით იმ უბადრუკი დეკორაციის ნანილებიც, ბატონმა მიულერუმცროსმა ამ ტურნესათვის საგულდაგულოდ რომ მოახლაფორთა. რა ამბავი ატყდა! გავიხედე და კულისებში ორი თეთრხალათიანი მამაკაცი შევნიშნე, არა, სცენის ინსპექტორი არა, მართალია იმასაც ხალათი აცვია, მაგრამ არა თეთრი! მას შავი ხალათი აცვია ხოლმე და რატომაც, ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. იმიტომ, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს ზედმეტი ყურადღება არ მიიქციოს. კარებში დალანდული ეს თეთრი ხალათები კი ჩემთვის წარმოდგენის აბსოლუტური დასასრულის მაუწყებელია ხოლმე. - აი, ასე იყო, ეს ამბავი მოგიყევით, ოღონდ ჩემებურად ცოტა შევალამაზე, რათა ყურადღებით მოგესმინათ და არ გამქცეოდით. იძულებელი ვიყავი გაუთავებლად მელაპარაკა, ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა, რათა თქვენ არ წასულიყავით და აქ, ამ სცენაზე, ჩემს ცხოვრებასთან პირისპირ არ მიგეტოვებინეთ.

ასისტენტი: კი მაგრამ, ბატონო ფოიერბახ, ეს ამბავი პირველად მესმის!

ფოიერბახი: უკვე დაგავიწყდათ, არა?! არა უშავს. ვინ იცის, იქნებ ასე ჯობდეს კიდეც.

ასისტენტი: არა, არ მოგიყოლიათ-მეთქი!

ფოიერბახი: *(უეცრად აქვითინდება, სასოწარკვეთილია)* ეს როლი უსათუოდ უნდა მივიღო! აუცილებლად! ყოველ მიზეზგარეშე! მთელი ჩემი ცხოვრება, ყველაფერი, ამ როლზეა დამოკიდებული! ხომ არ შეიძლება მარტო იმ მოტივით უარმყოთ, ახირებული ხარო.

ხმა მიკროფონიდან: ძაღლი ვიპოვეთ!

ასისტენტი: *(დაცინვით)* მართლა? სადაა მერე?

ხმა მიკროფონიდან: აგერ არის. დარაჯთან.

ფოიერბახი: *(მდგომარეობიდან გამოდის, ისტერიკაშია)* აი, გავიგონე, ასე თქვეს, დარაჯთანო. ის კი აქ არის! აგერ დგას! აგე! აგე! აგე! აგე! *(სიბრაზისგან კანკალებს, გაბზეკილ თითს იმ ცხოველისკენ იშვერს, შეშინებულ ქალს გრძელი საბელით რომ უჭირავს)* აგე! აგე!

ასისტენტი: ქალბატონო ანგერმაიერ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ!

ქალი: თუ გინდათ, უფასოდ დაიტოვეთ, არაფერს არ გთხოვთ!

ასისტენტი: ეს უჯიშო ძაღლი ახლავე თეატრიდან მოაცილეთ!

ქალი: ერთი პფენინგიც კი არ დაგიჯდებათ.

ასისტენტი: კარგი, გადავწყვეტთ და შეგატყობინებთ *(ცდილობს გარეთ გაიყვანოს)*.

ქალი: *(ფოიერბახს)* კარგად ბრძანდებოდეთ *(ძაღლს ეჭაჩება. კულისებში უჩინარდება)*.

ასისტენტი: ძალიან ვწუხვარ, რომ ძაღლის გამო ასე აღელდით!

ფოიერბახი: *(უკმეხად)* აი, ხედავთ? ხომ თქვენ თვითონვე ამბობთ! თქვენივე პირით აღიარებთ!

ასისტენტი: საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ძაღლი ამ დროისთვის იყო დაბარებული. ამას სცენის ინსპექტორი წყვეტს.

ფოიერბახი: აჰა! ე. ი. ინსპექტორიც!

ასისტენტი: ძალიან ვწუხვარ, ბატონო ფოიერბახ! ასეც ხდება. ზოგჯერ ყველაფერი ერთბაშად დაგატყდება ხოლმე თავს.

ფოიერბახი: თავის დაძვრენა არ გამოგივათ! პირდაპირ პასუხს მოვითხოვ! თან თვალებში უნდა მიყუროთ! აი, ასე! *(ხელს კიდებს და სცენაზე აჩერებს)*.

ასისტენტი: ახლავე ხელი გამიშვით, ძალიან გთხოვთ!

ფოიერბახი: მაინც ვინა ხართ? ნამდვილად ასისტენტი ხართ თუ სრულიად სხვა ვინმე? იქნებ სულაც არაფერი გაქვთ საერთო ყველაფერ ამასთან?

ასისტენტი: ასისტენტი ვარ, აბა ვინ ვარ.

ფოიერბახი: აჰა! აღიარებთ, არა? შეტანილია ოქმში! მაშასადამე, დავალება გაქვთ მიღებული. უნდა მანვალოთ! თანაც მთელი ეს ოპერაცია ზემოდან დაიგეგმა, სულ ნუთების მიხედვითაა გაწერილი! ეს დავალება იქიდან მიიღეთ და უნდა ითქვას, რომ დიდი სიამოვნებითაც ასრულებთ. მშვენიერია, ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ დახვეწილი შესრუ-

ლებაა! თქვენ რეპლიკების მოწოდება გევალებათ! თქვენ სიტყვით მკოდ-
ავთ! თქვენი სიტყვები გულს მიპობს! გულისდამკოდავი სიტყვები! თქვენ
დავალებული გაქვთ ჩემი დაჩხვლეტა და მჩხვლეტავთ კიდევაც! გულის-
დამკოდავი სიტყვები! კოდური სიტყვები! თან ეს ყველაფერი უზენაესის
ნებით ხდება. იქ, ზემოთ კარგად უნდა დაინახონ, თუ როგორი რეაქცია
მექნება! მაშ მოისმინეთ, ბატონო ასისტენტო, დატკბით ჩემი ტკივილის-
გან შეძრწუნებული ბღავილით. თქვენ თვითონ ცდილობთ, ბევრი არ ილ-
აპარაკოთ, რათა მათ ჩემს მოსმენაში ხელი არ შეუშალოთ! გულისდამკო-
დავი სიტყვები! მიდით, ყოველი ჩემი წამოკვნესა გულდასმით აღრიცხეთ!
ერთი-ერთმანეთზე დაალაგეთ და ბოლოს შეძლებთ, რომ კოლოსალური
ანგარიში წარმოადგინოთ! იყვირე ბევრი, ჩემო კარგო, რაც შეიძლება ბე-
ვრი, შენ ხომ არაკეთილსაიმედო ადამიანი ხარ! *(მკვდარ ჩიტს აღმოაჩენს,
ხელში მოწიწებით აიღებს, მკლავებში დამალავს, წაიღებს და ცელოფნის
პარკში ჩადებს, სადაც თავისი ნივთები აქვს შენახული).* აბა, მოისმინეთ
ჩემი განაჩენი: თქვენ სულით ხორცამდე ლაქია ბრძანდებით, ბრძანებებ-
ის ბრმა აღმსრულებელი! ჩაითვალოს დამნაშავედ!

ასისტენტი: ბატონო ფოიერბახ, ჩემი ბრალი არ არის, ძაღლი ხომ მე
არ დამიბარებია!

ფოიერბახი: პირველი კოდური სიტყვა: ძაღლი! *(სულ უფროდაუფრო
მეტად ცხარდება)* ძაღლი დარაჯთან არის, არა? ძალიან კარგი! აბა, ეს რა
არის მაშინ? აგერ რომაა, ჩემს თვალწინ! ეს ყოველად უგვანო ქმნილება!
როგორ შემომცქერის თავისი ყვითელი თვალებით! მასაშადამე, აქაა და
არა იქ! მაინც რამდენი ძაღლი ჰყავს იმ ქალს კიდევ კალთის ქვეშ დამა-
ლული და ვის გადააბარა ახლა ისინი თქვენი მითითების თანახმად? მორი-
გი როდის გამომიხტება? ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთი მათგანი მაყურებელ-
თა დარბაზშია და იქ მიდარაჯებს? მე ხომ მისი წკმუტუნი კარგად მესმის!
ან იქნებ ეგერ იქაა დამალული, ფანერის კედელსა და ფარდას შორის... სა-
კმარისია. ჩემი გამოსვლის მერე იქითკენ წავიდე, რომ ეგრევე შარვლის
ტოტში მეცემა, ეგ ხომ ყველაზე უფრო ამ დაუცველ ადგილს ემტერება!
იძულებული ვარ, შარვლის ტოტები ფეხებზე მაგრად შემოვიჭირო, რათა
ასეთი მუხთალი გამოხტომებისაგან თავი როგორმე დავიცვა. ბატონო ლა-
ქიავ! ვერც ზემოთ ახედვას რომ ვერ ვბედავ, იქიდან უკვე ყმუილი მოისმ-
ის... ალესილ კბილებსა და შხამიან ენებს ვხედავ, ჩემსკენ რომ მოიწევენ!
თან ის ძაღლიც არ დაგავიწყდეთ, აი, ის, ვითომ დარაჯთან რომ არის!

ასისტენტი: ერთი წუთით, მომისმინეთ, ბატონო ფოიერბახ,
გთხოვთ...

ფოიერბახი: თან ეს ქალიც კიდევ... რას ამბობთ, ჩვეულებრივი ქა-
ლია, ქუჩიდან შემოსული... ხომ არ გეგონათ, რომ ამაზე წამოვეგებოდი!
რა თქმა უნდა, მსახიობი იყო - ეჭვგარეშეა! როგორ თავისუფლად გადი-
გამოდიოდა, აგერ ჩემს ზურგსუკან, მთელს სცენაზე, სულ უკანაც კი გა-
ვიდა, აქაოდა ძაღლი უნდა დავიჭიროო - ერთადერთი ნაღდი მთელს ამ
ამბავში იყო ძაღლი, რომელსაც ეს ქალი საერთოდ არ იცნობდა. არაფრ-

ით არ შეიძლება, გამორიცხულია, რომ ეს ძაღლი მისი ყოფილიყო... მარ-
თალია, ის არ დამინახავს, როგორ დადიოდა, იმიტომ რომ იმ დროს
თქვენ გელაპარაკებოდით, მაგრამ, მაგრამ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვი-
გრძენი, რომ მსახიობთან მქონდა საქმე! ამას იგრძნობ, ბატონო ლაქიავ,
არ არსებობს, რომ არ იგრძნო! - ოჰ, ღმერთო, როგორ მექცევიან, როგ-
ორ მდევნიან! ოჰ, რა გამოცდას მიწყობენ!

დუმილი.

ასისტენტი: სოციალურ დახმარებას ხომ იღებთ?

ფოიერბახი: აი, ხომ ხედავთ, რა კითხვებს მაძლევთ. ამას იმიტომ
მეუბნებით, რომ ჩემი განადგურება გაქვთ გადაწყვეტილი.

ასისტენტი: არა, სრულიად საქმიანი შეკითხვაა.

ფოიერბახი: ნუ იტყუებით! თავიდანვე იცოდით, რომ ამ როლს არ
მივიღებდი. მაგ "სოციალური დახმარებით" კი თავი საბოლოოდ გამოია-
შკარავეთ! მთელი ამ ხნის მანძილზე თქვენი შეკითხვები სხვა არა იყო,
თუ არა ჩემი მასხარად აგდება! არის! მიზანში მოარტყით! ძალიან მეტ-
კინა! სასიკვდილო ჭრილობაა უკვე! გაიხარეთ!

ასისტენტი: კი მაგრამ, ბატონო ფოიერბახ, ეს სულაც არაა ასე! ნუ
ღელავთ, ძალიან გთხოვთ! ჩემზე რომ იყოს რამე დამოკიდებული, მე
როლს აუცილებლად თქვენ მოგცემდით! მაგრამ ხომ იცით, მე ვერაფერს
ვწყვიტავ!

ფოიერბახი: თქვენ არა! თქვენ არა!

ასისტენტი: მე მგონი, არც ბატონი ლეტაუ წავა წინააღმდეგი.

ფოიერბახი: მართლა? *(ქედმაღლურად)* დიახაც! აბა რა! კარგად მი-
ცნობს და იმიტომ! მართალია, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბაგრ-
ამ მაინც ვემახსოვრები. არ არსებობს, თქვენთან ჩემზე რომ არ ჰქონდეს
რამე ნათქვამი.

ასისტენტი: დიახ.

ფოიერბახი: რაო, რა თქვა?

ასისტენტი: ძალიან გაქოთ... გენიალურიც კი გიწოდათ.

ფოიერბახი: ჩემი ოსვალდი ახსენა?

ასისტენტი: დიახ, დიახ.

ფოიერბახი: ჩემი დონ-ჟუანიც?

ასისტენტი: დიახ.

ფოიერბახი: და ჩემი სრულიად სხვა კუთხით დანაბული გლოსტერი?

ასისტენტი: ჰო, ეგეც.

ფოიერბახი: თქვენ კიდევ აქ რაღაც ზეციურ-მინიერ "სოციალურ და-
ხმარებაზე" მელაპარაკებოდით! როგორ შეგეძლოთ! რამხელა ცინიზმია
თქვენის მხრიდან! კარგად მოგეხსენებათ, რომ აქ საქმე ჩემს მატერიალურ
უსაფრთხოებას არ ეხება, არც იმას, თავის გატანას მოვახერხებ თუ არა.
ფული ჩეჩქვივითა მაქვს! სად წავიღო, აღარ ვიცი... ამ წუთას ჯიბეში იმ-
დენი ფული მაქვს, მთელი თქვენი ასისტენტობის მანძილზე რომ არც მო-
გლანდებიათ! ყველას თქვენ მოგცემთ! მე არაფერში არ მჭირდება! მაინც

უპოვართ ვურიგებ ხოლმე! აჰა, აიღეთ, ყველაფერი თქვენი იყოს!

14

ქურთუკს იხდის და ჯიბეებში იქექება, იქიდან ყველანაირი ფული ცვივა, მონეტებიც და ასიგნაციებიც. ქურთუკს განზე მოისვრის. შარვლის ჯიბეებს ამოიტრიალებს, იქიდანაც ფული ამოიყრება.

ასისტენტი: *(მოულოდნელად, ცივად)* ახლავე მოაშორეთ ეს ფული აქედან. თავს სულმთლად ნუ გაიმაიმუნებთ!

ფოიერბახი: რეჟისორმა უნდა გაიგოს, რომ ჩემთვის ფული კი არ არის მნიშვნელოვანი...

ასისტენტი: *(ბოლოსდაბოლოს კარგავს თავის ქედმაღლობასა და უზრუნველობას და ყვირის)* რეჟისორი, თორე ეგეც... წამოჯდება ხოლმე ზევით, იმ თავის ადამისდროინდელ დაფოტრილ სავარძელში და ფიქრობს და ფიქრობს, თან ჭარხლის მხალს შეექცევა. ფიქრობს და ჭამს, სულ იმ წითელ მხალს ჭამს მაინც, მეტს არაფერს და არის ასე... ერთი დღე, ორი დღე... წითელი მხალი და წითელი მხალი, უდგას იქ დიდი თასით, ირგვლივ ყველაფერი წითლად აქვს მოთხვრილი - პერანგი თუ მაგიდა, სარეჟისორო ჟურნალი და შენიშვნებით აჭრელებული უამრავი ფურცელი - ყველაფერზე წითელი ლაქებია. პირსისხლიანი მტარვალივითაა. თასი რომ გამოიცლება, მდივანს უყვირის, სადაა ჩემი წითელი მხალიო. ამ წითელი მხლის მეტი არც არაფერი აინტერესებს, სპარტანულად ცხოვრობს, მარტო, სულ იმას წუწუნებს, როგორ მომენატრნენ ჩემი მსახიობებიო! მაგრამ აქ არ მოდის, მე კი უკვე ყურებში თითებს თუ გავირჭობ, თორემ მეტი უკვე აღარ შემიძლია. ვეღარ ვუძლებ, თქვენი ატანა ყოველად შეუძლებელია!

ფოიერბახი: *(ჩუმად)* მეგობარო... ჩემო ძვირფასო მეგობარო...

ასისტენტი: დიახ, დიახ, დიახ.

ფოიერბახი: *(დიდი მღელვარებით)* საათის ქანქარას ვაკვირდებოდი ახლა, როგორ ირხევა აქეთ-იქით... სულ ჩავქრები და ჩავიფერფლები, როლს თუ ვერ მივიღებ! სულს გავაცხებ, სუნთქვას შევწყვეტ, თავზე ცელოფნის პარკს ჩამოვიცვამ. - ბოხუმშიც ვიყავი მოსმენაზე, დიუსელდორფში, მიუნსტერშიც კი! მაინც რა ბრიყვები არიან! გამომიცხადეს, არ გეჭირდებითო. ვიღაცა რეჟისორი, რომელიც სრულიად არაკომპეტენტურია, იმიტომ რომ არც *თქვენ* გაგიათ მისი სახელი და არც მე, საზეიმოდ აცხადებს, რომ თურმე მე მათ არ ვჭირდები. არა, უბრალოდ წარმოიდგინეთ, რა! აი, ასეთი რამე შემემთხვა, და თან არა ერთხელ, ძალიან ხშირად! ერთმა მათგანმა ისიც კი მაკადრა, ჯანდაბამდეც გქონია გზა, შე ტაკიმასხარაო! - ზუსტად ასე მითხრა! - გინდ დაიჯერეთ, გინდ არა! რას იზამ, რანაირ რეჟისორს აღარ ნახავთ ამ პროვინციებში. ადრე სულ სხვა იყო. სხვანაირად გეპყრობოდნენ. - მაინც რამდენი ხანი გავიდა უკვე, რაც ვიცდით? დროის გაზომვა აწი მაინც აღარ გვჭირდება. *(საათს სკამის საზურგეზე ურტყამს და ამტვრევს)* ჰანსი მახსენდება... ჰენსხენი... ისიც არ ვიცი, ცოცხალია კიდევ თუ არა. მაგრამ ადამიანი ხომ მკვდრად არ ჩაითვლება, თუკი მასზე ერთი ვინმე მაინც ფიქრობს. როცა კი გარდერობში ვიჯექი, არა აქვს მნიშვნელობა სცენაზე გასვლამდე, თუ გამოსვლის შემდეგ, ჰანსი მუდამ გვერდით მყავდა. სულ ჩემზე ზრუნავდა. უაღრესად მეგობრული ადამიანი იყო, ბავშვის ხმაზე წრიპინებდა... გააუპატიურეს და სქესი ჰქონდა დაკარგული. დიახ. თავი რომ ამტკივდებოდა, კეფას დამიზელდა, ცუდ ხასიათზე თუ დავდგებოდი, ერთ ფინჯან ჩაის მომიტანდა. თან რაღაცას მოაყოლებდა ხოლმე, აფორიზმივით... ერთი წუთით, როგორ იყო? "თუ რამე გტკივათ ან შეგიპყროთ სევდამ, ფინჯანი ჩაი მოგიტანთ შვებას..." ასე მეტყოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ეგ რასაც მიმზადებდა ხოლმე, ჩაი კი არა, სულ სხვა რამე იყო! - ასე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ მსახიობის კარგად ყოფნას, რადგან ყველაფერი მის გამოსვლაზე იყო დამოკიდებული. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ძალიან მარტოსულად ვგრძნობდი თავს, შეიძლება ითქვას, რომ მთელი დედამიწის ზურგზე ჩემსავით გამოყრუებული ადამიანი ძნელად თუ მოიძებნებოდა. "თუ რამე გტკივათ ან შეგიპყროთ სევდამ, ფინჯანი ჩაი მოგიტანთ შვებას..." არა, ამ აფორიზმში ღვთიური ნიჭის ნაპერწკალიც კი არ ღვივის, ის კი არა, მაგარი სულელური რამეა. მაგრამ სწორედ მაგიტომ მიყვარდა! *(თავისთვის ბურტყუნებს, ხან წაიმღერებს)* "შეგიპყროთ სევდამ... მოგიტანთ შვებას..." ბატონო ასისტენტო! სად დაიკარგეთ ასე უცბად? ქვევით, თქვენს ადგილზე, აღარ ჩანხართ, ვეღარ გხედავთ. არადა უკვე შევეჩვიე თითქოს, რომ ეგ თქვენი ადგილია. - ხომ არ გამექეცით? თქვენს საერო საქმეებს ხომ არ გამოედევნეთ?

ასისტენტი: *(უკნიდან)* შეგიძლიათ თქვენი გამოსვლა დაიწყოთ.

ფოიერბახი: აჰა - სად წასულხართ, სულ უკან! მაინც რამდენს მოძრაობთ... რა მარდად დაჰქრიხართ რიგებსშუა! - "ჩემო ბებრისჭიპავ"... კოდური სიტყვა "ბებრისჭიპა"!

15

ასისტენტი: *(უკანა რიგებიდან)* ბატონი ლეტაუ უკვე მობრძანდა. შეგიძლიათ დაიწყოთ.

ფოიერბახი: მოგესალმებით, ბატონო დირექტორო! ვფიქრობდი, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვუცადო-მეთქი? როდის დაგვენახვებით? Dans un mois, dans un an...[8] წელიწადის დრონი ერთმანეთს ენაცვლებიან, უსასრულოდ მიედინებიან, იმარცვლებიან საუკუნენი, დრო კი მათი მეწისქვილეა! აგერ ახლა არ იყო, აქ რომ ვენეცია იდგა! სადღაა ახლა! დრომ შთანთქა, გავიგონე, როგორ ღეჭავდა, რანაირი ხრასასრუში გაუდიოდა! აჰა, ახლა რაღაც ქსოვილი აუფარებიათ, რათა ამ საქმის გარემოებანი მიაჩუ-

[8] თვისა თუ წლის მერე... *(ფრანგ.)*

მათონ! ათასწლეულის მანძილზე გელოდით. ასე რომ, ჩათვალეთ, რომ ღმერთი ხართ უკვე! სალამი თქვენდა! მოგესალმებათ ერთი მღილივით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სიცოცხლით სავსე არსება! რა სამწუხაროა, რომ ვერ იხილეთ, თუ როგორ დახტოდნენ და დაფარფატებდნენ ფრინველები ჩემს გარშემო. საღამოობით მე შემიძლია ბეჭებზე დავდო პუბლიკა იმ ყოველდღიურ ორთაბრძოლაში, რასაც სპექტაკლი ჰქვია, თანაც ორივე ჩვენთაგანისათვის აგრერიგად კარგად ნაცნობი ფოკუსების გარეშე. ჩვენ ხომ ერთად ვიყავით მაშინ ჰანოვერში, ბატონო დირექტორო! მაშინ ჰანოვერში ძაღლის ხსენებაც კი არსად იყო! ძაღლს სპექტაკლთან ვინ მიასუნინებდა, ამას ხომ საშინელებად ჩათვლიდნენ, დაუშვებლად მიიჩნევდნენ!

დუმილი.

ფოიერბახი: მე ხომ ვიცი, რომ ჩემთან მხოლოდ კარგი მოგონებები გაკავშირებთ. სულ ცოტა ხნის წინ თქვენმა ასისტენტმაც იგივე დამიდასტურა, ამ სიმპათიურმა ახალგაზრდამ, რომელსაც უეჭველია წინ დიდი მომავალი ელოდება. ძალიან სიმპათიური ახალგაზრდაა! თქვენს მოსვლამდე დრო ძალზედ სასიამოვნოდ გავატარეთ, პირდაპირ დავაქუცმაცეთ, პუდრად ვაქციეთ. - ახლა კი ცოტაოდენი დრო კიდევ მჭირდება. მინდა გონება შოვიკრიფო, კარგად გავიაზრო, თუ რის გაკეთებას ვაპირებ.

დუმილი.

ფოიერბახი: მოიცადეთ, ჯერ ქურთუკი უნდა ჩავიცვა. უკაცრავად, ვინ იცის რა იფიქრეთ, ეს კაცი აქ დგას და მისი ქურთუკი იატაკზე რატომ აგდიაო, თან არც ფეხზე რომ არ მაცვია არაფერი და წინდებით ვდგავარ აქ... არ გეგონოთ, რომ სპეციალურად გავაკეთე. *(თავის ქურთუკს აიღებს, შემოიცვამს, ყველა ღილს იკრავს)* რამდენი ხანია, ამ წუთზე ვოცნებობ, ერთი სული მაქვს, მუშაობას როდის შევუდგებით.

დუმილი.

ფოიერბახი: უჰ, ამასობაში ერთი ღილი მოწყვეტილა და სადღაც დაკარგულა. რა სამწუხაროა! ეტყობა, ძალიან ვჩქარობდი. აი, აგერ გდია. ამას ახლა ჯიბეში ჩავიდებ და მერე მივაკერებ. გპირდებით. მართალია, ცოლმა მიმატოვა, გაიგებდით ალბათ, ანუ იმის თქმა მინდოდა, რომ დამტოვა, გარდაიცვალა, გაიხრწნა... იწვა საწყალი თავის ცისფერ-ციიისფერ სანოლში, თავი ჰაწია შეუბუმბლავ ჩიტს მიუგავდა... დიახ.

დუმილი.

ფოიერბახი: თუ ჩემთვის რაიმე საგანგებოს არ გეგმავთ, მაშინ წავიკითხავ მონოლოგს ტასოდან. ჩემს სიცოცხლეში ეს როლი უკვე ორჯერ შევასრულე.

ფოიერბახი იწყებს მონოლოგის კითხვას გოეთეს "ტასოდან", მეტისმეტად ინდომებს, ყველანაირად ცდილობს, როგორმე ნერვები დაიმორჩილოს და შვიდი წლის წინანდელი ამბავი არ დაემართოს, როგორმე შეცდომა არ დაუშვას, იმ მკვეთრ გადასვლებს, მიმოხრეგსა და არაკანონზომიერებებს ყველანაირად თავი აარიდოს, რომელთაც მისი კომპრომეტირება და საბოლოო დალუპვა შეუძლიათ. დიდი სურვილი აქვს, რომ ეს ტექსტი

მეტისმეტად ნათლად ისმოდეს, ყოველი სიტყვა უაღრესად მკაფიოდ ჟღერდეს. მაგრამ ამით მისი გამოსვლა მხოლოდ გროტესკულ ელფერს იძენს და ალაგ-ალაგ თითქმის გაუგებარიც კი ხდება. სინამდვილეში, შეშინებული გიჟის მონოლოგია.

ფოიერბახი: "გასწი შენს გზაზე და არსაით გადაუხვიო,
გადამარწმუნე, დამაჯერე შენს სიმართლეში."
სკამს აიღებს და ჩამოჯდება.
"მე ვსწავლობ შენგან, თავი როგორ მოვიკატუნო,
სულაც არ მიჭირს, რადგან შენ ამ საქმის დიდოსტატი ხარ.
თვით ცხოვრება ხომ გვავალდებულებს, იმათ ვემსგავსოთ,
რომელთაც წესით უნდა ვგმობდეთ, შეუვალი მედიდურობით.
რა ცხადად ვარჩევ ინტრიგათა ამ
ნატიფ ქსელს, დახლართულს სამეფო კარზე.
როგორ სწადია ანტონიოს ჩემი აქედან გასტუმრება,
მაგრამ თან ისე, რომ ვერვინ მიხვდეს.
თავს იკატუნებს, ვითომდაც ეს მისი სიფრთხილისა და
წინდახედულობის ბრალი იყოს, რამეთუ მიხვდა,
თუ როგორი უძლური და უნიათო ვინმე ვყოფილვარ.
თავს ჩემს მეურვედ ინიშნავს, ცდილობს ბავშვის დონემდე
დამამდაბლოს, რამეთუ თავის მსახურად ვერ მაქციო.
ასე ახერხებს, რომ მრძანებელმა შუბლი შეიკრას, ხოლო
მზერა მისი მეუღლისა ნისლში გაეხვეს."
(შეწყვეტს) მითხარით რამე?
"თვლის, რომ ლაგამი უნდა ამომდოს.
ხომ დამაბერტყა ბუნებამ და გამჩენის ძალამ
წყალობის კალთა. მე კი ყველაფერი ეს ქარს გავატანე.
თავაწყვეტილი სიამაყითა თუ ზედმეტი ფხუკიანობით,
ან თავნებობით. სხვა გზა არა გაქვს, რაც გიწერია და
განგებამ გადაგიწყვიტა, მორჩილებით უნდა მიიღო,
უნდა ითმინო, აიტანო და გაგიხარდეს,
თუკი ერთ დღესაც ბედი შენთვის სიხარულსაც გამოიმეტებს,
უნდა ჩათვალო, რომ შენ ამას სრულიადაც არ იმსახურებ.
მოკლედ, რას ვამბობ, ადამიანი როგორიცაა, ზუსტად
ისე უნდა იცხოვროს და იმგვარად მოკვდეს."
(შეწყვეტს) როგორ?
"ვწვდები კი ახლა ალფონსენის უდრეკ ბუნებას,
ვინც მტერს მტრობს და მოყვარეს მოყვრობს?
ვხვდები კი ახლა, თუ ჩემს მიმართ რა გრძნობით არის?
ვაი, რომ ვხვდები, თუ რა ღვთის წყრომა დავიმსახურე!
ჩემს ბედს რა ვუთხარ, როგორ არის ასე
მერყევი და ქარაფშუტა, იმ დროს
როდესაც სხვებს ერთხელ რამე

თუ დაებედათ, სიკვდილამდე სულ თან მიჰყვებათ."
(შეწყვეტს) ბატონო?
"მაინც რა მოხდა, ვით შეცვალა, სულ ერთ საათში,
საბედისწერო გამოჩენამ ამ კაცისამ
ჩემი სვე-ბედი,
განა სწორედ მას არ ვუმადლი იმ ხუხულის უმოწყალოდ
განადგურებას, რასაც ოდესღაც ერქვა ჩემი ბედნიერება.
ოჰ, რაღა დღეს უნდა გამეგო ეს ამბავი!
რამდენადაც ადრე ყველა ჩემსკენ მოიქცეოდა,
იმდენად მსწრაფლად უკუიქცნენ.
ადრე თუ იმას ცდილობდნენ, რომ როგორმე
მომტმასნოდნენ, ახლა ყველანი გამირბიან კეთროვანივით.
რატომ, რა მოხდა? ნუთუ მხოლოდ ამ ერთ კაცს ძალუძს
ჩემი ღირსების თუ იმ სიყვარულის აწონ-დაწონვა,
რაც კი ოდესმე... "
ხანგრძლივი დუმილი.

ფოიერბახი: მითხარით რამე! ძალიან გთხოვთ, დიდად მადლობელი დაგრჩებოდით, თქვენგან კრიტიკას თუ მოვისმენდი. მთელი არსებით მივილტვი იმისკენ, რომ თქვენგან კრიტიკა მოვისმინო და ამით რამე ვისწავლო. ზოგიერთ ჩემს კოლეგას კი არ ვგავარ, რომ გიუდებიან ხოლმე, თუკი ვინმეს რამე არ მოეწონა მათ გამოსვლაში და ან შესწორება შეიტანა. მითხარით რამე, ერთი სიტყვა მაინც მითხარით! ბატონო დირექტორო!

ასისტენტი: *(მთლად უკნიდან)* შუქი აანთეთ პარტერში, თუ შეიძლება!

ფოიერბახი: მგონი, ფიქრობთ, ეს რა აბეზარი ვინმე ყოფილაო. ან იქნებ გაინტერესებთ, მონოლოგი დამჯდარმა რატომ წავიკითხე... მე თქვენს ასისტენტს უკვე ავუხსენი. ჩემი აზრით, კლასიკური ტექსტები ყავახანაში, სკამებზე უნდა თამაშდებოდეს...

პარტერი ნათდება.

ასისტენტი: *(წინ გამოდის)* ბატონი ლეტაუ უკვე წავიდა.

ფოიერბახი: როგორ?!

დუმილი.

ფოიერბახი: აჰა, გასაგებია. - დიახ, დიახ...

დუმილი.

ფოიერბახი: თუ ბატონი ლეტაუ უკვე წაბრძანდა, მაშინ მე რაღა მინდა აქ.. დიახ! იმის თქმა მინდოდა, რომ მაშინ შემიძლია მეც წავიდე *(ფეხზე დგება. იღიმება. წყნარად გადის).*

ასისტენტი: *(მიაძახებს)* ფეხსაცმელები დაგრჩათ!

ფოიერბახი არ ტრიალდება.

სცენა ბნელდება.